

## სამშობლო და მამული

(სინონიმების ლინგვისტური ანალიზი)

### შუქია აფრიდონიძე

ნაკვლევია ცნება „სამშობლოს“ აღმნიშვნელი, სხვადასხვა ქრონოლოგიური შრის სინონიმები — **მამული და სამშობლო**, მოტივაციის საფუძველია დაკვირვება კლასიკისი მწერლის — ილია ჭავჭავაძის მიერ მათს დიფერენცირებულ გამოყენებაზე ორიგინალურსა და თარგმნილ პოეზიაში. საანალიზო სიტყვების სინონიმიზაცია წარმოდგენილია როგორც ზოგი სემანტიკური პროცესის (განზოგადების, მეტონიმის...) შედეგი და მორნსემიდან პოლისემიაზე გარდამავალი საფეხური. სინონიმთა შედარებითი ანალიზის სისრულის მიზნით განხილულ იქნა სხვადასხვა კომპონენტი: საანალიზო სინონიმთა ეტიმოლოგიების ტიპოლოგია, დერივაცია, სინტაგმატიკა; ამასთან, წარმოჩენილია ერთ-ერთი სინონიმის (**სამშობლო**) მიდრეკილება ტერმინოლოგიზაციისადმი, რომელიც ხორციელდება უკუპროცესის — პოლისემიდან მონოსემიაზე გადასვლის შედეგად.

საკვანძო სიტყვები: სინონიმია, პოლისემია, მონოსემია, მეტონიმია.

სინონიმთა არსებობა ენის ლექსიკური სიმდიდრის ერთი უტყუარი სიმპტომი და სანდო პარამეტრია. მათი წარმოქმნა შეპირობებულია როგორც ლექსიკის ჰორიზონტალური განვრცობის, ისე (და მეტადრე) ვერტიკალური გალრმავების იმანენტური — შინაგანი და ბუნებრივი — მოთხოვნილებით. პარადოქსია არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ლექსიკის გამდიდრება სინონიმებით მისი სილრმისეული განვითარების მასტიმულირებელი პირობაც არის და გარდაუგალი შედეგიც.

ამ წერილში სინონიმები განხილულია ლაიონსის დეფინიციიდან ამოსვლით: სინონიმურად მიიჩნევა ორი (ან მეტი) სიტყვა, თუ მათი ჩანაცვლებით მიღებულ წინადადებებს მნიშვნელობა არ შეეცვლება [ლაიონსი 1968, 428]<sup>1</sup>.

რაკი ენის განვითარება ზოგადად და ლექსიკისა კერძოდ დროში მიმდინარე პროცესია, ლექსიკის განვითარების ლოგიკა გვავარაუდებინებს გარკვეულ ქრონოლოგიურ მიმართებას უკვე არსებულ სიტყვასა და მსგავსი მნიშვნელობით მოგვიანებით გაჩენილ სინონიმურ სიტყვას შორის. „სინონიმთა მსგავსება-განსხვავებას ახსნა დაეძებნება ამ სიტყვათა ისტორიის გათვალისწინებისას“ [ფოჩხუა 1974, 36]. მაგრამ სინონიმთა ქრონოლოგია-

1 “... two (or more) items are synonymous if the sentences which result from the substitution of one for the other have the same meaning” [ლაიონსი 1968: 428]

ზე მსჯელობის დროს, მათი აგსოლუტური დათარიღების შეუძლებლობის პირობებში, საკითხი დაისმის მხოლოდ შეფარდებითი ქრონოლოგიის კონტექსტში. შესაბამისად, საკითხის კვლევაც მხოლოდ ამ ფარგლებში ივარაუდება. ამასთანავე, გათვალისწინებულია მოსაზრებანი ე.წ. „აგსოლუტური სინონიმების“ ფუნქციონირების შესახებაც [აფრიდონიძე 1888, 286 შმდ.].

ნებისმიერი სინონიმური წყვილისა თუ ჯგუფის კვლევას თვითკმარი ლირებულება აქვს და მათი ანალიზის მიზანშეწონილობა საგანგებო დასაბუთებას არ საჭიროებს. მაგრამ ამ შემთხვევაში საანალიზო სინონიმთა არჩევანს ბიძგი მისცა წინასწარმა (და, შეიძლება ითქვას, ზედაპირულმა) დაკვირვებამ ილია ჭავჭავაძის დიფერენცირებულ დამოკიდებულებაზე ერთი სინონიმური წყვილის — **მამულისა და სამშობლოს** — მიმართ: ორიგინალურ ნაწერებში (პოეზიაში თუ პროზაში — ბელეტრისტიკაშიც, პუბლიცისტიკაშიც) საკუთარი კვეყნის აღსანიშნავად ავტორი ინტენსიურად იყენებს **მამულს** (რომელიც იქცა ილიასეული ცნობილი ტრიადის — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — პირველ კომპონენტად)<sup>2</sup>, მაშინ როცა პოეტურ თარგმანებში (გაირონი, ჰაინრი, ტომას მური, ლერმონტოვი) — უშუალოდ დედნის ენიდან თუ სხვა (შუამავალი) ენის მეშვეობით — მთარგმნელი **სამშობლოს** ანიჭებს უპირატესობას (თითო-ოროლა გამონაკლისი ხომ სწორედ წესის არსებობას გულისხმობს). მათი შეფარდების საჩერენებლად სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ორიგინალური პოეზიდან:

### მამული:

**მამულო საყვარელო,**

შეწ როსღა აყვავდები? („გაზაფხული“, 71).

ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი

გამავონე ჩემს **მამულში!** (\*\*\*მესმის, მესმის... 60).

**მამულისა სიყვარულმა**

ძმობა გულში ჩავვიუენა („ჩემი თარიარალი“, 36).

...**მამულს** სიცოცხლე შევწიროთ

შვილურის ერთგულებითა (იქვე, 37).

...მეტი ჯილდო რაღად გვინდა,

თუ ვსჭვრეტთ **მამულს** გაფურჩქინოსა (იქვე, 37).

**მამულისა შვილი ჩვენც ვართ**

და მიტომ ვზრდით ჭაბუქს სულსა,

რომ ოდესმე გამოვადგეთ

დაობლებულს ჩვენს **მამულსა.**

(„ქართველ სტუდენტების სიმღერა“, 61).

<sup>2</sup> ამ სამეულსა და მასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებს 2000-იან წლებში მიეძღვნა საგანგებო სამეცნიერო დისკუსია, რომლის მასალებმა თავი მოიყარა კრებულში: „საქართველო ათასწლეულთა გასა- ყარზე“. განსაკუთრებით საგულისხმოა ზურაბ კიკნაძის ვრცელი წერილი „ილიას მამული“, რომელშიც წარმოდგენილია ქართული ცნობიერების ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების ღრმა ანალიზი [კიკნაძე 2005: 28-52].

ჰოი, **მამულო**, გამიკრთა მე ძილი და შვება! (\*\* მას აქეთ... 72).  
...მაგრამ, **მამულო**, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი... (იქვე, 72).

...შენს კიდევებზედ ჩემი **მამული**

იყო ერთ დროსა გამშვენებული! („აჩრდილი“, 127).

**იქ მამულისთვის** ქართვლის ხმა ჰქუხდა.

... რას ვეძებდი მე? ჩემ ვევენის წარსულს,

შენ-წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს (იქვე, 128).

გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,

დაგინგრევიათ დიდი **მამული**... (130).

ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა

უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა (130).

... და დაუამგებულ ბორკოლზე სცვლიან

თავის **მამულის** თავისუფლებას (135).

### სამშობლო:

ეგრე დამცქერდა **სამშობლოს** ზეცა („უცხოეთში“, 22).

ვის უნახავს ის **სამშობლო** ჩემი? („დაკარგული ედემი“, 48).

**სამშობლოს** ცასა პნელად გაშლილი

მწუხრის ზეწარი გადაეფარა.

(„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“, 147).

**მამულის** უხვი ხმარებით განსაკუთრებით გამოირჩევა რამდენიმე პოეტური ნაწარმოები: ლექსი „ნანა“, პოემები „ქართვლის დედა“ და „აჩრდილი“. „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ კი, თემატიკის კვალობაზე მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ეს სინონიმები თითქმის არ გვხვდება (მხოლოდ შესავალ ნაწილში, ბრძა მეფანდურის წინათქმაში („მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით...“) 5-ჯერ დასტურდება **მამული**). **სამშობლოს** ხვედრითი წილი კი პოეტის ორიგინალურ პოეზიაში ძალზე უმნიშვნელოა. სამაგიეროდ, თარგმნილ პოეზიაში **მამულს** აშკარად სჭარბობს **სამშობლო**, თუმცა ილიას-თან ამ სიტყვის დიდ სიუხვეზედაც გაჭირდებოდა ლაპარაკი, ხოლო სადაც კი არის, ნაწილი ნიმუშებისა მის ადიექტურ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს: „სამშობლო (= მშობლიურო) მთება!“

ისიც აღსანიშნავია, რომ **საანალიზო** სინონიმები ასეთებად მიიჩნევა ახალ ქართულში გარკვეული ლიტერატურული ტრადიციების, მეტადრე XIX ს-ის II ნახევრის ქართული მწერლობის კორიფეთა მიერ დამკვიდრებული ენობრივი უზუსის საფუძველზე, დიაქტონიაში კი სულაც არ არის აუცილებელი, დღევანდელი სინონიმური წყვილი ადრეც ამავე ურთიერთმიმართებაში (ან მიმართების იმავე დოზითა და ხარისხით) არსებულიყო, რომლითაც დღეს წარმოგვიდგება. მაგალითად, რომანტიკოსებთან აშკარაა **მამულის** უპირატესობა, რასაც განსაკუთრებით თვალნათლივ მოწმობს ბატალური ეპიზოდების შემცველი პოემები — გრ. ორბელიანის „სადლეგრძელო“ და ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, რომლის საბაეჭრო ნაწილი (იხ. სოლო-

მონ ლიონიძისა და მისი ცოლის დიალოგი) დამატებით მასალას იძლევა ამავე სიტყვის კონტექსტური გაშლისათვის.

რაც შეეხება თანამედროვე პოეზიას, **მამული** მხოლოდ მარკირებული სტილით აღბეჭდილ პასაურებსლა თუ შემორჩა (კოლორიტის შესაქმნელად და მისთ.).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულში ერთ-ერთი სინონიმი - **სამშობლო** გარკვეულ კონტექსტებში თითქმის ტერმინოლოგიური ფუნქციით ჩამოყალიბდა: **ფეხბურთის სამშობლო** [და არა მამული] ინგლისია; **სამშობლოს** [და არა მამულის] **ღალატი** მძიმე დანაშაულია. შედრ. დერივაციული (ზედსართაული) ფორმა **სამამულო**, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სიტყვასთან შეხამებაში: 1. თავდაცვითი (ომი), 2. ადგილობრივი (პროდუქცია), მაგ., საბჭოურ ხმარებაში: **სამამულო ომი** (=მეორე მსოფლიო ომი); **სამამულო ნაწარმი** (=საბჭოთა კავშირში დამზადებული პროდუქცია).

სინონიმთა ჩაუწავლებლობა, ერთი მხრივ, და მათი დიფერენცირებული ხმარება ილიას მიერ, მეორე მხრივ, ბუნებრივად აღძრავს ინტერესს, განაწყობს და იწვევს მკვლევარს მათს საგანგებოდ შესასწავლად.

გამოიკვეთა საანალიზო სინონიმთა კვლევის შემდეგი კომპონენტები:

1. დეფინიცია-ეტიმოლოგიური და მათი ტიპოლოგია;
  2. მონოსემიდან პოლისემიისაკენ: სინონიმიზაცია;
  3. სინონიმთა დერივაცია;
  4. პოლისემიდან მონოსემიისაკენ: ტერმინოლოგიზაცია;
  5. სინონიმთა სინტაგმატიკისა და სტილისტიკისათვის;
1. დეფინიცია-ეტიმოლოგიური და მათი ტიპოლოგია. სინონიმთა ანალიზის დაწყება ვამჯობინეთ ქართულ სიტყვათხმარებაში ამჟამად უფრო ფართოდ გავრცელებული და მეტი მნიშვნელობის მქონე პოლისემიური სინონიმით — **სამშობლოთი**.

ა) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის [ქეგლ 1950-64] მიხედვით, სიტყვა **სამშობლოს** თანამედროვე ქართულში რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებული მნიშვნელობა აქვს: 1. ქვეყანა, მხარე, სადაც დაიბადა ადამიანი და რომლის მოქალაქედაც ის ითვლება. 2. ვისიმე დაბადების ადგილი. [ეს] სოფელი... გაბოს **სამშობლოა**. 3. გადატ. სადაც წარმოიშვა, შეიქმნა რაიმე: [ჩინეთი] არის აბრეშუმის ჭირის **სამშობლო** (ი. გოგებაშვილი). 4. იგივეა, რაც მშობლიური. სამშობლო მხარე: **სამშობლო** მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა (ილია). 5. კუთხ. (ქართლ. კახ.) დედ-მამის ოჯახი გათხოვილი ქალისთვის: [ქალის] მშობიარობის დრო რომ მოახლოვდა... მამის სახლში, **სამშობლოში** წაიყვანეს (ზღაპარი).

ნიშანდობლივია, რომ **სამშობლოს** პირველი მნიშვნელობით ამჟამად საუკელთაოდ მიღებულ და გავრცელებულ დეფინიციას ზედმიწევნით ეხმანება XIX საუკუნის ქართული პოეზიის წიაღში წარმოქმნილი ეს სახიერი სტრიქონები რაფიელ ერისთავისა:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,  
 სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,  
 სადაც სიურმითვე ვჩევეულვარ, — ჩემი სამშობლო ის არი!  
 („სამშობლო ხევსურისა“, 72).

როგორც ვხედავთ, სიტყვა **სამშობლოს** წარმოთქმისას პოეტის ემოციები ეკაჭვება არა მარტო საკუთარი დაბადებისა და სიყრმის ადგილებს, არამედ მამა-პაპის საფლავებსაც. წინაპრების (ნამდვილი, და არა მეტაფორულად გააზრებული მამა-პაპის) საფლავები სამშობლოს ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ ან ატრიბუტად აღიქმება, მის არეალურ საზღვრებს კი ხატოვნად განასახიერებს ბავშვობაში ნასროლი ისრით მონიშნული თვალსაწიერი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტით (სამშობლოს შეცილება-წართმე-ვის თემით) იქცევს უურადღებას სიტყვა **სამშობლო**, რომლისთვისაც ლექსი-კონი დაესესხა ვაჟასეულ მაგალითს:

**სამშობლოს** არვის წავართმევთ,  
 ჩვენც წურვინ შეგვეცილება!..  
 („მხედართა ძველი სიმღერა“, II, 19).

ამ მაგალითებს შეიძლება რამდენიმე სხვა პოპულარული ილუსტრაციაც დაემატოს აკაკის პოეზიიდან, მაგალითად:

ჩემი ხატია **სამშობლო**,  
 სახატე — მთელი ქვეყანა („ხატის წინ“, I, 410);  
 ანდა მისივე:  
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
 ჩემო **სამშობლო** მხარეო („განთიადი“, I, 369);  
 ასევე დუტუ მეგრელისა:  
 ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, —  
 კველა ჩემი **სამშობლოა** საკართველო.  
 („საჟვარელი სამშობლო“: იხ. გოგებაშვილი,  
 1912ა; 221).

დასახელებული ოთხი მაგალითიდან მესამეში **სამშობლო** ზედსართაული ფუნქციით იხმარება მშობლიურის სინონიმად და განსაზღვრავს სუბსტანტივით გამოხატულ საზღვრულს — მხარეს.

რაც შეეხება **მამულს**, ქეგლ-ში მას პრაქტიკულად მხოლოდ ორი მნიშვნელობა აქვს: 1. უძრავი ქონება, მიწა-წყალი, რომელიც ვისიმე საკუთრებას შეადგენს და მემკვიდრეობით გადაეცემა მამისგან შვილს: ტერმინი „მამული“ ... მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ნიშნავდა (იგ. ჯავახიშვილი); // უძრავი ქონება საერთოდ (უპირატესად სოფელში); 2. იგივეა, რაც **სამშობლო** („ძირს მამულის მოღალატენი!“).

მესამე მნიშვნელობა წმინდა ფორმალურია და ფაქტობრივ პირველის გამეორებას წარმოადგენს: კომპოზიტის ფორმალა ასხვავებს მათგან: ადგილ-მამულები.

ვნახოთ, რა მემკვიდრეობა ერგო ამ სიტყვებს ძველი ქართულიდან.

ბ) ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში [აბულაძე 1973], რომელიც შედგენილია ძირითადად V-XI საუკუნეების ნათარგმნი სასულიერო ლიტერატურის მიხედვით, **სამშობლო** საერთოდ არ დასტურდება, **მამულს** კი ორი სემანტიკა აქვს მიკუთვნებული: 1. ადიექტური მნიშვნელობები: მამაბაჟური, მამეული („გამსწავლულ გარ ჭეშმარიტებით **მამულითა** შეულითა“, საქ. მოც. 22, 3), ან მამობრივი, მშობლიური („რომელმან-იგი შემკრიბნა **მამულსა** ამას სახლსა“, ოქრ.-მარბ. და იონ. 100, 9), და 2. სუბსტანტივისეული მნიშვნელობა: სოფელი („გამოაჩინებენ, ვითარმედ **მამულსა** (სოფელსა Q) ეძიებენ“ ჰეგრ. 11, 14); (წარვიდეს ...**მამულად** თვალი (ლევ. 25: 10) ან წინაპრები (მამა-პაპა), ტომი, ხალხი.

აქედანვეა ნაწარმოები **მამულობაც** (= მემკვიდრეობა, შთამომავლობა).

გ) ზ. სარჯველაძის მიერ მოგვიანებით შედგენილ ანალოგიური ტიპის ლექსიკონში [სარჯველაძე 1995], რომელიც (წინასიტუვაობის მიხედვით) მიზნად ისახავს ორი ათეული წლით ადრე გამოცემული ლექსიკონის [აბულაძე 1973] შევსება-დაზუსტებას და მოიცავს უპირატესად ძველ ორიგინალურ ძეგლებს, **მამული** ცალკე ერთეულად აღარ არის გამოყოფილი, ე.ი. ლექსიკონი ეთანხმება აბულაძისეულ დეფინიციას. სამაგიეროდ, დამატებულია **მამულ-დედული**, რომელიც განიმარტება, როგორც: სამემკვიდრეო („რათა განაგოს **მამულ-დედული** მისი“ (კიმ. II 145, 20); „რამთამცა ღუწოდა სოფლებსა მას **მამულსა-დედულსა** მისსა“ (იქვე, 142, 3-4). ცალკე დედული კი განმარტებულია, როგორც დედისეული („დაუტევა შეული დედული“: ქ. ცხ. 41, 1; წარვიდეს და მივიდეს დაბასა მას **დედულსა ჩუენსა**: პოვნ. სტეფ. 65, 28). აქვეა ამ რთული შედგენილობის სახელის კომპონენტთა დერივატებიც: **მამულობაც** ორი აბსტრაქტული მნიშვნელობით (მამისეულობა და მემკვიდრეობითობა) და **დედულობაც**.

დ) „ქართლის ცხოვრების“ ადრეული (უძველესი ხანიდან XII ს-მდე) ძეგლების ს. ყაუხეჩიშვილისეული გამოცემის I ტომზე დართულ ლექსიკონში სიტუვა **მამულს** სამი მნიშვნელობა აქვს მიწერილი: 1. ზედსართავი სახ. (= მამისეული, მამისა, თვისტომი, მშობლიური: შემოიღო სჯული **მამული** და დაუტევა სჯული დედული 29, 11); 2. არსებითი სახ. (= სამშობლო, თავისი მამის ქვეყანა): [ფარნავაზ] მოსრულ იურ მცხეთას, **მამულსა** თვალს 20, 23; 3. (= მამით, მამის მხრით: **მამულად** ეყვოდეს სომები 299, 3).

მცირეოდენი სხვაობა შეიმჩნევა **მამულის** განსაზღვრაში „ქართლის ცხოვრების“ II ტომზე დართულ ლექსიკონში, რომელიც შედგენილია უფრო გვიანდელი (XII-XVII ს.) ძეგლების მიხედვით: **მამულის** პირველ მნიშვნელობად უკეთ „სამშობლოა“ დასახლებული, მეორედ — ზედსართაული მნიშვნელობა, მესამედ კი — „სამფლობელო, ადგილ-მამული“....ქულად დაიპურეს ხვანთქრის ბაიაზითის ძეთა სამკდრო **მამული** თვალი.... [სარჯველაძე 1986]. ამავე მასალის მიხედვით შედგენილი სიმფონია-ლექსიკონის **მამულის** ბუდეში მესამე მნიშვნელობად დამატებითაა შეტანილი „**თანამემამულე**“: ნუ განმარტებთ მახვლთა თქუენთა ქართველთა ზედა, რამეთუ **მამულნი** არიან ჩემი: 34, 19).

**მამული „რუსუდანიანშიც“** სამფლობელოს, ადგილ-მამულის მნიშვნელობითაა ნახმარი: დამიგდია **მამული ჩემი და ვერა შემიტყვია რა [რუსუდანიანი 1975: 339-40]**; მე ამ ხმისათვის და ამ მეჩანგესათვის გარდმოვარდი და დავაგდე **მამული ჩემი [რუსუდანიანი 1975: 349, 39]**.

რაც შეეხება **სამშობლოს**, მისი მოძიება გაჭირდა სასულიერო ხასიათის ტექსტებში, გარდა ერთი საგულისხმო გამონაკლისისა, რომელიც საილუსტრაციოდ დამოწმებულია ზ. სარჯველაძის ხსენებულ ლექსიკონში [სარჯველაძე 1995: 178] შემდეგ კონტექსტში: „ჩუენ ნუ სრულიად უცხო-გუვოფ სამშობლოთ ჩუენით“<sup>3</sup>, თუმცა იგი არაფერს გვეუბნება ამ სიტყვის ხმარების ინტენსივობაზე. ამასთანავე, რაკი მთელი ტექსტი ეჭვთიმე ათონელის თარგმნილად არის მიჩნეული<sup>4</sup>, არ არის გამორიცხული, რომ სიტყვა **სამშობლოც** ქართულში მისავე შემოლებული იყოს.

აქვე არ შეიძლება არ დავიმოწმოთ საერო ლიტერატურის ერთ-ერთი ადრეული ძეგლის — „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის ჩვენება: „გორაბი შენი სამშობლო და ქალაქი არის“ (1938 წ. გამოცემაში წყობა პირიქითაა: „გორაბი შენი ქალაქი და სამშობლო არის: ვისცა ნახავ, უუელა შენი მეუუის-თა გუერდით ჰზი, არ ჩემებრ“).

ხოლო ამ სიტყვის ტერმინლოგიზაცია და, მაშასადამე, საყოველთაო გავრცელებაც გაცილებით გვიან უნდა მომხდარიყო. ამ ვარაუდს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ **სამშობლო** არ დასტურდება არც ადრეშუასაკუნივან ორიგინალურ ტექსტებში<sup>5</sup>. ყოველ შემთხვევაში, XVII-XVIII სს-მდე ეს სიტყვა ფართოდ გავრცელებული კერ კიდევ არ არის და იგი მხოლოდ აქა-იქ თუ გვხვდება.

ე) სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში [ორბელიანი 1965] ორივე ეს სიტყვა შეტანილია, ოღონდ ერთმანეთთან სინონიმური მიმართების გარეშე. ეს ფაქტი საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ვინაიდან ლექსიკურ ერთეულთა განლაგებისას შემდგენელი, ჩვეულებრივ, სიტყვათა სემანტიკურ ბუდეებად (ანუ ველებად) დაუკიფის პრინციპს მიმართავს. შესაბამისად, სინონიმების განმარტებისას ისინი ერთმანეთს ჩამაცლებიან, — თუდაც ნაწილობრივ. საანალიზო სიტყვები კი ლექსიკონში ასეა განმარტებული:

<sup>3</sup> [=129 93r, 1-2a]. ამ სიმბოლოებით აღნიშნულია XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერი ქრებული. ესაა ხელნაწერი „ცხორებად და წამებად ჭმიდისა კლინი ანჯურელ ეპისკოპოსისა“. აქვე უნდა მოვიდისენით ვ. იმანავილის მიერ გამოცემული ბრიტანეთის ძუხუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა „მამათა ცხორებანი“, რომელშიც დამოწმებულია სიტყვა **სამშობლო** აგბა კომინის, „წარმოშობით ლუკიელის“ მონაზებურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, რისთვისაც იგი თითქოსდა სიკრმიდანვე იწვრობნებოდა **სამშობლოში** [იმანავილი 1975:123]. გამოცემლის ზეპირი ცნობით, დედანში **სამშობლოს** ადგილას არის (ზედმიწევნით თარგმნისას): თავის ქვეყანაში.

<sup>4</sup> ამ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ პროფ. ქ. ბეზარაშვილს.

<sup>5</sup> იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი (1963-71 წლებში გამოცემული ძეგლების მიხედვით. ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძისა და მ. შანიძის რეადაციით), I-II, თბ., არტანუჯი. (III-IV ნაკვეთი ხელნაწერის სახითაა: V-XVIII ს-მდე). შემდგენელთა ნებართვით მოხერხდა მომდევნო ორი ტომის მასალის (იგულისხმე სვინაქსარული ტექსტები) ხელნაწერში გაცნობა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ შემდგენლებს.

**მამული** — მამისეული. განსხვავებით ამ სიტყვის თანამედროვე სუბსტანტური მნიშვნელობისაგან, ლექსიკონში ხაზგასმულია ადიექტური მნიშვნელობა, რაც ეჭვს იწვევს, თუ გავითვალისწინებთ საბას მიერ დამოწმებულ კონტექსტს). მაგრამ ადიექტივის მნიშვნელობითაა დამოწმებული ძველ ქართულ ტექსტებში ხშირად გამოყენებული სიტყვათშეხამება **მამული რჩული //შეული**, ე. ი. მამისეული, მამაპისეული რჩული. მაგ.: „რახთა არა დაუტეოს **მამული შეული**“ [გვარამია 1986: 37].

**სამშობლო** კი საბასთან განმარტებულია, როგორც დედის სახლი. ეს იმას ნიშნავს, რომ საბას დროს **სამშობლო** იგივე იყო, რაც დღევანდელი **დედულეთი**, ანუ დედის სამშობლო და, შესაძლოა, სწორედ დედულეთის გაგებით არის ნახმარი **სამშობლო** ვახუშტი ბატონიშვილთანაც „[ქეთევან] ევედრა კახთა: ...შეეწიონ არა-ყოფად ამისად და, უკეთუ არა, წარვიდეს **სამშობლოსა** თჯსას ქართლს“ [ვახუშტი 1973: 583].

**სამშობლო** ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში ფაქტობრივ მკვიდრდება და ვრცელდება XVIII ს-იდან, როდესაც მან ადგილი იპოვა სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობით.

სხვადასხვა ენაში (ძირითადად ევროპულში) სიტყვა **მამულის** ასეთი ეკვივალენტები ეძებენება:

**ბერძნულში** (ძველშიც, ახალშიც): **πάτρα: πατρίς** „მამული“ (**πατήρ** – მამა);

**ლათინურში:** **patria** (შდრ. **pater** – „მამა“). მისგან მომდინარე ცოცხალ რომანულ ენებშიც ანალოგიური ვითარებაა, მაგალითად:

**ფრანგულში:** **patrie** (<ლათინ. **patria**) (შდრ. **père** = „მამა“ <ლათინ. **pater**):

ასევე გერმანიკულ ენებში, კერძოდ:

**გერმანულში:** **Vaterland** („მამათა // მამისეული მიწა“. შდრ. **Vater** მამა“). ინგლისურში სათანადო ცნების აღმნიშვნელ სახელებში ერთ-ერთ კომპონენტად პარალელურად იხმარება **დედის** აღმნიშვნელი სახელიც: შდრ.: **motherland** (= დედის მიწა) და **fatherland** (= მამის მიწა); ამასთანავე, იხმარება სახლის (შინის) აღმნიშვნელი **homeland** (= სახლის მიწა, „სახლეული“; „საშინაო“, „შინაურეთი“).

„დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში“ [რეიტილდი 2006] **მამულის** აღმნიშვნელ ინგლისურ ეკვივალენტებს შორის (დასახელებულია ქეგლ-ისეული მნიშვნელობა) **სამშობლოს** აღმნიშვნელ სინონიმებად დასახელებულია ორი რთული სახელი **motherland** და **fatherland**, რომელთა პირველი კომპონენტებია დედა და მამა, მეორე კი — მიწა, ოღონდ ამ სემანტიკის მოცემულ ნუსხაში არ შესულა კიდევ ერთი სინონიმი — **homeland**, რომლის მეორე ნაწილიც ისევ მიწის, ხმელეთის აღმნიშვნელია, პირველი კი — შინისა, სახლ-ისა. სამაგიეროდ, ეს სიტყვა (**homeland**) **სამშობლოს** ბუდეში პირველ კომპონენტად გვაქვს და ამჯერად მას ახლავს **მამულის** პირველ კომპონენტად დასახელებული **motherland** (დედის წინ წამოწევით), ხოლო **fatherland** აქ სულ აღარ იხსენიება. შესაძლოა, ეს ფაქტი ერთგვარი გამოძახილია

ქართულ ენობრივ ტრადიციაში გავრცელებული გამოთქმის — **დედა-სამ-შობლოს** — ხშირი ხმარებისა.

მაშასადამე, ბერძნული და რომანული ენები (ფრანგული, იტალიური, ესპანური, კატალონიური, პორტუგალიური, რუმინული...) ამ მხრივ დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა: ეტიმოლოგიურად მამას უკავშირდება და მინიმალურ ფონეტიკურ სხვაობას გვიჩვენებს (ბერძნ. *patriis*, ესპ., იტალ. *patria*, ფრანგ., რუმინ. *patrie*, კატალ. *pàtria*, პორტ. *pátria*...). კოველ მათგანს ქართულში მამული შეესატევისება.

სამშობლოს ცნების აღმნიშვნელი სიტყვები ზოგ გერმანიკულ ენაში (დანიური, პოლანდიური), თვით გერმანულსა და ინგლისურთან ერთად, ეტიმოლოგიზდება „მამის მიწად“ (*fædreland, vaderland*), ზოგში (ნორვეგიული, შვედური) — „სახლის/სახლეულ ანუ შინა(ურ) მიწად“ (*hjemlandet, hemland*), ზოგში კი (ინგლისური) უკვე ხსენებულ ორ ვარიანტს ემატება მესამეც — *motherland* “დედის მიწის” (ზედმიწევნით — „დედა-მიწის“) ეტიმოლოგით.

სლავურ ენათა უმეტესობაშიც სამშობლოს ცნება ეტიმოლოგიურად ძირითადად ისევ მამას უკავშირდება, ოღონდ ზოგ ენაში ლიტერატურული ფორმებია გავრცელებული (რუს., ბულგ. და ა.შ. *отечество*), ზოგში — მოძველებული ფორმები (რუს., *отчизна*, პოლონ. *ojczyzny* და სხვ.), ზოგშიც — დიალექტური (უკრ. *батьківщина*), ჩეხურ-სლოვაკურში გვაქვს *vlasti* (= ქონება, მფლობელობა) [ჩერნიხი 2002].

ძირითად თანამედროვე ევროპულ ენებსა და რუსულში საანალიზო ქართულ სინონიმთა ეკვივალენტები ან მათი ელემენტები ამგვარად ნაწილდება:

ქართული	რუსული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული
სამშობლო ვოტჩინა >)	родина } отчизна }	homeland } motherland }	Heimat -	patrie -
მამული ვოტჩინა	отчество	fatherland	Vaterland	patrie

საინტერესოდ გვეჩენება რუსულის ვითარება: აქ ერთი და იმავე ძირის შემცველი ორი ფორმაა გამოყენებული *отечество* და *отчизна*, მაგრამ მათი დაბოლოებები სხვადასხვა გრამატიკულ სქესს აწარმოებს (პირველი საშუალო სქესისა, მეორე კი — მდედრობითისა). სამაგიეროდ, ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ძირებით განსხვავდებული სინონიმები — *отчизна* და *родина* გრამატიკული სქესით უახლოვდებიან ერთმანეთს: ორივე მდედრობითი სქესისაა.

შეინიშნება ისიც, რომ თანამედროვე რუსულში (და ბულგარულშიც!) „სამშობლოს“ ცნება უპირატესად *родина* სიტყვით გადმოიცემა, მათ შორის ისეთ ტერმინოლოგიურ გამოთქმებში, როგორიცაა, მაგ.: **измена родине, изменник родины** (შდრ. სამშობლოს ლალატი, სამშობლოს მოღალატე...). საგულისხმო აქ ის არის, რომ „მიწისა“ და „სამკვიფროს“, ზოგადად კი მემკვიდრეობითობასთან მიწის ეტიმოლოგიურმა მიჯაჭვულობამ პირველადი მნიშვნელობა

დღემდე შეუნარჩუნა **მამულს**. ამითაა შეპირობებული **მამულის** ტიპოლოგია. აქედან იქნა ნაწარმოები კომპოზიტი ადგილ-მამულ(ებ)-ი, ხოლო ამ უკანასკნელისგან — ზედსართავი საადგილმამულო. ამ კონტექსტში გარკეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ილიასეული საუკარელი მამულიც დიდაჭთიკოსის ინტენციით არის დაღდასმული, რაც **მამულის** სამშვენისის ფუნქციას თუ არ გამორიცხავს, ანელებს მაინც. აკი ფართოდაა ცნობილი, რომ ილია ცდილობდა ცხოვრების ფუნდამენტური პრაგმატიზმის ელემენტი შეეტანა იმ ხალხის შეგნებაში, რომლის წიაღშიც იგი დაიბადა და რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე მსახურებდა, და საადგილმამულო ბანკის დაარსებაც ამის მრავლისმეტყველი დადასტურებაა.

ინგლისური **homeland** და გერმანული **Heimat** კი გვაფიქრებინებს, რომ „სამშობლოს“ ცნებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო „სახლისა“ და „შინაურობის“ მნიშვნელობა, რასაც მხარს უჭირს ზოგიერთი სხვა ენის ფაქტობრივი მასალაც, რომლებშიც „სახლის“ აღმნიშვნელი სიტყვა წარმოგვიდგება სათანადო სიტყვის ფუძისეულ ბირთვად ზოგ სლავურ ენაში (მაგ., სლოვენურში — **домовина**).

როგორც ვხედავთ, თუ ამოვალთ შესადარებელ სინონიმთა — სამშობლოსა და მამულის ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან, საქმე გვაქვს სინონიმებთან, რომელთა შემადგენელი ფუძეების სემანტიკის ამპლიტუდა „გაწელილია“ მშობელსა და მიწას შორის. სანიმუშოდ მოგვყავს საანალიზო სინონიმები, ერთი მხრივ, ქართულ-რუსული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონებიდან, მეორე მხრივ კი — რუსულ-ქართული და ინგლისურ-ქართული ლექსიკონებიდან, თუმცა გასათვალისწინებელია თარგმნითი ლექსიკონების პრაქტიკაში ცნობილი ფაქტიც, რომ შექცევადი, საპირისპირო მიმართულების ლექსიკონები (ვთქვათ, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) ყოველთვის ვერ ინარჩუნებს ცალსახა დამოკიდებულებას ორი ენის ეკვივალენტურ ლექსემებს შორის და ეს ბუნებრივიცაა: მუდმივი მიზეზი ამისა იმის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი ენაა ამოსავალი. ამ დასკვნის სისწორე მეტ-ნაკლებად სინონიმებზედაც ვრცელდება.

განხილული ლექსიკონები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა:

**Вотчина** — მამული, ე.ი. უმა და მამული [ჩუბინაშვილი 1902]; ისტ. მამული, მამულ-დედული [რქლ 1937]; ვოტჩინა, სამეკვიდრეო მამული [რქლ 1983].

**Отечество** — იბ. ბუდე ითქვათ — მამული, სამშობლო ქვეყანა [ჩუბინაშვილი 1902]; მამული, სამშობლო; **изгнание из о-ва** სამშობლოდან განდევნა [რქლ 1937]. ამავე ლექსიკონში გვხვდება დღეისათვის ანაქრონიზმის ნიმუში (ამჟამად ამ კონტექსტში იხმარება მხოლოდ **სამშობლო**): **СССР – социалистическое о. всех трудящихся** — სსრკ უკელა მშრომელის სოციალისტური სამშობლო; სამშობლო, მამული [რქლ 1983].

**отечественный** — მამეული, სამამულო [ჩუბინაშვილი 1902]; სამამულო, სამამულიშვილო, მამულიშვილური; **о. язык** დედა-ენა; **о-ная война** სამამულო ომი [რქლ 1937]; მშობლიური, სამშობლოსი; სამამულო [რქლ 1983].

**соотечественник** – თანა-მემამულე [ჩუბინაშვილი 1902]; თანმემამულე, ერთმემამულე, ერთის ქუეყნის კაცი; თანამემამულე [რქლ 1983].

**отчизна** – სამშობლო ქვეყანა, მამული [ჩუბინაშვილი 1902]; მოძვ., პოეტ. მამული, სამშობლო [რქლ 1937]; სამშობლო, მამული [რქლ 1983].

**родина** – სამშობლო ქვეყანა [ჩუბინაშვილი 1902]; სამშობლო [რქლ 1937]; լებով კ რодине სამშობლოს სიყვარული [რქლ 1983].

**родной** – თანმობილი, ღვიძლი; **родной край** – სამშობლო ქვეყანა [ჩუბინაშვილი 1902]; **родной язык**, მშობლიური ენა [რქლ 1937]; **1.** ღვიძლი, ალა-ლი, მკვიდრი, ნამდვილი, საკუთარი; **2.** მშობლიური, მშობელი, სამშობლო [რქლ 1983]…

**fatherland** – სამშობლო, მამული [მარგალიტაძე VI, 1997].

**homeland** – სამშობლო, მშობლიური ქვეყანა [მარგალიტაძე VIII, 1998];

**motherland**

– სამშობლო [მარგალიტაძე XI, 2003].

**ма́мю́лди** – სამშობლო ქვეყანა [ჩუბინაშვილი 1887]; **а.** родовое имение, поместье; вотчина; **и́с. ф. ბ.** (სამშობლო) отчество; отчизна [დათიკაშვილი 1959]; **н 1. land; (landed) estate; 2. motherland, fatherland** [რეიტილდი 2006];

**ма́мю́лдиშვილი** – патриот [დათიკაშვილი 1959]; **patriot** [რეიტილდი 2006];

**ма́мю́лдиშვილობა** – патриотизм [დათიკაშვილი 1959]; **patriotism** [რეიტილდი 2006];

**ма́мю́лдиშვილური** – патриотический [დათიკაშვილი 1959]; **patriotic** [რეიტილდი 2006].

**სამშობლო** – მშობელთ სახლი ან ქვეყანა, **родина, отчество** [ჩუბინაშვილი 1887], **родина, отчество** [დათიკაშვილები 1967]; **н homeland, motherland; birthplace; origin; 2. а native (land)** [რეიტილდი 2006].

კომენტარის სახით დავძენდით, რომ ინგლისური ენიდან ამოსვლით სამივე სინონიმი **სამშობლო**-დ გადმოითარგმნება, ხოლო **მამული** დამატებით მიეწერება მხოლოდ **fatherland**-ს. მეორე მხრივ, **სამშობლო** ინგლისურ თარგმანში მხოლოდ ორ სინონიმს ირჩევს: **homeland, motherland, მამული** კი კვლავ ორ ინგლისურ ეკვივალენტს იძლევა, მაგრამ **homeland**-ის გამოყენებით. მაშასადამე, ქართული **მამული** და ინგლისური **fatherland** რამდენადმე განკურძოებით დგას — ალბათ როგორც არააქტუალური ან ნაკლებ აქტუალური.

დაახლოებით ასეთია ლექსიკოგრაფიული მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. შეიძლებოდა იმის აღნიშვნითლა დავკმაყოფილებულიყავით, რომ შედარებით გვიანდელი ლექსიკონები მეტ-ნაკლებად ასახავენ და უახლოვდებიან ჩვენს დღევანდელ წარმოდგენებს მოყვანილი სინონიმების შესახებ.

**2. მონოსემიიდან პოლისემიისაკენ:** სინონიმიზაცია. ენის განვითარების კვალიბაზე მეტყველების ნაწილები, საზოგადოდ, ავლენენ ბუნებრივ მიდრეკილებას სემანტიკური გადაწევა-ცვალებისა და, შესაბამისად, შიდა-

გრამატიკული ტრანსფორმაციებისადმი. იგულისხმება, ერთი მხრივ, სიტყვის მნიშვნელობის გამდიდრება-გამრავალფეროვნება, მეორე მხრივ კი — მნიშვნელობის დავიწროების გზით — მისი დაზუსტება და, რიგ შემთხვევაში — ტერმინირებაც. ლიტერატურაში დაწვრილებით არის აღწერილი ამ პროცესის ხელშემწყობი თუ ხელისშემშლელი პირობები [ლამბაშიძე 1986, 54-57]. ლექსიკური პარადიგმატიკის, კერძოდ, სინონიმის ჩარჩოები ხან ფართოვდება, ხან ვიწროვდება, სიტყვები სინონიმთა ერთი რიგიდან მეორეში გადადიან, ანდა თვით ეს რიგები უქმდება და ახალი იქმნება და ა.შ. როგორც ჩანს, ამგვარ ცვლილებებს ვერ ასცდა ვერც ჩვენი საანალიზო სიტყვები.

ზემოთქმულს თვალსაჩინოს ხდის **მამულის** თავდაპირველი მონოსემიური მნიშვნელობის ევოლუცია, რომლის ფაქტობრივ ყოველი საფეხური ისტორიული თუ ლექსიკოგრაფიული წყაროებით დასტურდება. საანალიზო სიტყვების სემანტიკური განვითარების ასეთი სურათი გვესახება: ადიექტივი (=მამისეული) > სუბსტანტივიზაცია (=მამისგან მემკვიდრეობით რგებული მიწა), (მეტონიმის გზით) > სუბსტანტივი (=„სამშობლო“). სწორედ ამ ბოლო საფეხურზე ივარაუდება **მამულისა** და **სამშობლოს** როგორც სინონიმთა შეხვედრა.

თავის მხრივ დაახლოებით ანალოგიური გზა განვლო **სამშობლომ**, რომელიც შემხვედრი მიმართულებით მოძრაობდა **მამულისაკენტროგორც პოტენციური** სინონიმისაკენ. ოლონდ განსხვავება ისაა, რომ მათი სინონიმზაციის შედეგად **მამულს** საერთოდ მოაკლდა ადიექტიური მნიშვნელობა, ხოლო **სამშობლომ** შეინარჩუნა იგი (სამშობლო მხარე, სამშობლო მთებო). მაგრამ პოლისემიური მნიშვნელობა არსებითი სახელისა **მამულს** არ დაუკარგავს: ფიზიკური, „მატერიალური“ კერძო მიწის — საგარეულის (სახნავ-სათესის, ვენახის) სემანტიკა მას ამჟამადაც აქვს. ეს ფაქტი დადასტურებულია თანამედროვე ლექსიკონებში.

მაშასადამე, ორივე სინონიმის პოლისემიური მნიშვნელობა შეიქნა პირველი საფუძველი მათ შორის სინონიმური მიმართების დამყარებისა, შემდგომ საფეხურებად კი მნიშვნელობის გენერალიზაცია (გაფართოების შედეგად განზოგადება) და მეტონიმია (გადატანითი მნიშვნელობის შეძენა) უნდა ვივარაუდოთ.

**3. სინონიმთა დერივაცია** (სიტყვაწარმოება). ამ საკითხის კვლევა მოწოდებულია გაარკვიოს სინონიმთა დერივაციული შესაძლებლობანი და დაადგინოს, რა მიმართებაა მათ შორის სემანტიკურ-სტილისტიკური ფუნქციონირების თვალსაზრისით და როგორ აისახება ეს მიმართება ლიტერატურაში. განვიხილავთ პოეზიის ნიმუშებს, რადგან აქ უფრო ნათლად იყვეთება მთქმელის ემოციური დამოკიდებულება სამშობლოს ცნების გამომხატველი ამ ორი სინონიმისადმი.

ორივე სინონიმი — ადრინდელი **მამულიც** და გვიანდელი **სამშობლოც**, როგორც აღინიშნა, ნაწარმოები სიტყვებია: პირველი ოდენსუფიქსურია, მეორე — პრეფიქს-სუფიქსური. ორივე სიტყვის აფიქსები ადიექტივის

წარმომქმნელია და ამიტომ სავარაუდებელია, რომ სინონიმთა თავდაპირველი მნიშვნელობაც ზედსართაული მნიშვნელობისა იყო, და არა სუბსტანტივისა: **მამული** — მამისეული, მამისა; **სამშობლო** — მშობლიური. ამ უკანასკნელმა დღემდე შეინარჩუნა ერთ-ერთ აქტიურ მნიშვნელობად ადიექტური სემანტიკა, რასაც მოწმობს **სამშობლოს** სემანტიკა ამ გამოთქმებში: **სამშობლო** მთებო, ჩემო **სამშობლო** მხარეო და მისა.

ასე რომ, დღეს სუბსტანტივებად ქცეულ ამ სინონიმებს გავლილი აქვთ ერთნაირი გზა: ამოსავალი (თავის მხრივ, ნაწარმოები) ადიექტივიდან სუბსტანტივამდე. საჭიროებამ გაარსებითებული სინონიმებისაგან შემდგომ ეტაპზე ახალი დერივატები წარმოშვა **მამულისაგან**: ერთი მხრივ, ხელობა-თანამდებობის აფიქსების დართვით, **მემამულე**=მამულის, მოზრდილი სავარგული მიწის სახით უძრავი ქონების პატრონი, მფლობელი, მებატონე. მისი რუსული ეკვივალენტია **помещик** (მისი ამოსავალია **поместье**), რომელმაც წარმოშვა ადიექტივი **помещичье** — **მემამულური**. მთელი ეს სემანტიკური ველი **მამულის** თავდაპირველი მნიშვნელობის ირგვლივ გაიშალა.

დერივაცია სხვა მიმართულებითაც განხორციელდა, როცა **მამულის** გვიანდელმა და განზოგადებულმა მნიშვნელობამ (=სამშობლო) ახალი სიტყვები აწარმოვა. ვგულისხმობთ ზედსართავ **სამამულოს**, რომელიც წარმოიქმნა თავდაცვითი, ანუ ტერიტორიული საკუთრების დასაცავად წარმოებული ომის ეროვნულ ეპითეტად. სხვა დერივატები ჩადგა ბერძნულ-ლათინური წარმოშობის **პატრიასაგან** ნაწარმოები საერთაშორისო სიტყვების ქართული ეკვივალენტების რიგში. ესენია: **პატრიოტის** მნიშვნელობით ნაწარმოები კომპოზიტი **მამულიშვილი**, რომლისგან დერივაციის გზით წარმოიქმნა ახალი სიტყვები: ერთი მხრივ, აბსტრაქტული სახელი **მამულიშვილობა** (=პატრიოტიზმი, **პატრიოტობა**), ხოლო მეორე მხრივ — ახალი ზედსართავი **მამულიშვილური** (=პატრიოტული). (იხ. სქემა გვ. 12).

ნაკლებ პროდუქტიული აღმოჩნდა **სამშობლო** — შესაძლოა, იმის გამოც, რომ იგი ორმაგი წარმოებით არის დამძიმებული: მისი ამოსავალი ფუძე თავადაც ორივე მხრიდანაა პრეფიქს-სუფიქსით (**მ-** — **-ელი**) შემოსაზღვრული. ამ ფორმალურ „არტახებში“ მოქცეულმა **მშობელი** სიტყვამ მხოლოდ ცალი მხრიდან შეძლო ეწარმოებინა ზედსართავი (**მშობლიური**): ხელახლა დართულმა ორმხრივმა აფიქსებმა (**სა-** — **-ო**) კი ახალი „ჰაერი“ აღარ დაუტოვეს ნაწარმოებ ფუძეს.

დერივაციული გარდაქმნები გრამატიკულად ასე გამოიყურება:

(მიმღეობა) **მ-შობ-ელ-ი > მშობელ-ი** (სუბსტანტივირებული არს. სახელი)

/ \

**სა-მშობ(ე)ლ-ო**      **მ-შობლ-იურ-ი**

ზედსართ. >// არსებ. (აბსტრ. სახ.)      (ზედსართავი)

(მსაზღვრელი) (საზღვრული)      (მსაზღვრელი)

მაშასადამე, ხელმეორედ ნაწარმოებ ამ სიტყვათაგან მხოლოდ **მშობლიურმა** შეინარჩუნა მუდმივი მსაზღვრელის სტატუსი, **სამშობლო-მ** კი დაკარგა ცალსახობის სიმჟარე და, გარკვეულ შესამებებში, ადიექტური სე-

მანტიკის შენარჩუნებით, პარალელურად შეიძინა სუბსტანტივის ფუნქციაც, რომელმაც თანდათან კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები სწორედ ამ ფუნქციით გამოყენების მხრივ.

ამასთან დაკავშირებით უურადღებას იქცევს რამდენიმე მაგალითი ვა-ხტანგ ორბელიანის ლექსში „ძველ მეგობარს“, რომელშიც ერთმანეთის გვერდით პარადოქსულად გვხვდება განსახილველი სამშობლო და **მამული:**

**სამშობლო მამულს თავი შესწირა (13);**

**თვეენი სამშობლო მიწა-მამული (79);**

**და ვეღარ ვუმზერ იქიდამ სამშობლო მამულს დახატულს (10).**

აშკარაა, რომ **სამშობლო** აქ უველგან ადიეჭტივის ფუნქციით გამოდის: იგი განსაზღვრავს **მამულს** და მიღებული სინტაგმა ალნიშნავს „მშობლიურ მამულს“.

დაახლოებით ასეთივე **მამულის** დერივაციის საკითხიც. **მამ-ისაგან -ულ** სუფიქსით ნაწარმოები **მამული** ზედსართავად იქცა, რათა **მამ(ის)ეული** აღნიშნა. ამას მოწმობს ძველ ძეგლებში დადასტურებული შესიტყვება **მამული რჩული // შუული**<sup>6</sup>, რომელშიც **მამული** (მსგავსად სხვა შემთხვევაში **დედულის**) ადიეჭტივია და ნიშნავს მამისულ, მამისაგან წამერგვიდრევ რჯულს, სარწმუნოებას.

ზემოთქმულიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სინონიმურმა წევილმა — **მამულმა** და **სამშობლომ** — ადიეჭტური დერივაციის მეშვეობით თთქმის ანალოგიური გზა გაიარა (ადიეჭტივიდან სუბსტანტივამდე), ოღონდ **მამულმა** — უფრო ადრე, ვიდრე **სამშობლომ:** ამ მხრივ პირველი უფრო ასაკოვანია.

ქრონოლოგიური სხვაობა **მამულსა** და **სამშობლოს** შორის კიდევ ერთი აპრიორული ნიშნითაც განისაზღვრება: საზოგადო სახელი **მამული**, რომელიც ნაწარმოებია უახლოესი ნათესავის ალმნიშვნელი აპელატივის — **მამისაგან**, „ასაკობრივად“ გაცილებით უფროსია, ვიდრე **მშობლისგან** ნაწარმოები **სამშობლო:** **მშობელი** განმაზოგადებელი და, მაშასადამე, შედარებით გვიანდელი მონაცელეა დედ-მამის ერთობისა (ისევე როგორც **მეულე**, რომელიც მოვინანებით წარმოიქმნა ცოლ-ქმრის ერთობის აღმნიშვნელად), ხოლო კომპონიტ **დედ-მამის** ადიეჭტური ანალოგი (ოღონდ უკუწყობით) — **მამულ-დედული** — კერ კიდევ ძველ ქართულში წარმოიქმნა (შესაძლოა, ბერძნულის სათანადო კომპონენტების უკუწყობის კალკირების გზით) — შესაბამისად დედისული და მამისული უძრავი ქონების აღმნიშვნელად (კერ მსაზღვრელის საფეხურის გავლით).

ამავე სიტყვისაგან კიდევ ერთი მსაზღვრელი იწარმოება აგრეთვე **სა- - ე** ცირკუმფიქსის მეშვეობით **სამამულე**, რომელიც მსაზღვრელად შეეხამება რქა სახელს (ცხადია, აქ იგულისხმება „სავენახე, ვაზის რქა“). **მამულის** დე-


6 დედული = დედისეული, დედისანი: დაუტევა სკული დედული 29, 12; ფარნავაზ იქო... დედულად სპარსი ასპანელი [სარჯელაძე 1986: 20: 19]. მეორე მაგალითის მიხედვით, დევინიციისათვის შეიძლებოდა დაგვემატებინა აგრეთვე: დედის, დედის მხრიდან (შ. ა.).

რიგატია **მე-** — **უაფიქსებით** ნაწარმოები სახელი **მემამულეც** (= მემკვიდრე, ძელ, II), მისგან კი — **მემამულეობა** (= მემკვიდრეობა).<sup>7</sup>

ეს დერიგატები სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენენ, როდე-საც შეიხამებენ პრეპოზიციურ **თანა-** ელემენტს. სიტუა თანამემამულეს დღეს თვისტომის, ხოლო **თანამემამულეობას** დიასპორის, სათვისტომოს სემანტიკა აქვს.

**მამული** — სიტუაცისგანაა მიღებული კომპოზიტი **მამული(ს)შვილი** — „პატ-რიოტის“, ქართული ადეკვატი, მისგან კი იწარმოება ზედსართავი **მამული-შვილური** (= პატრიოტული) და აბსტრაქტული სახელი **მამულიშვილობა** (= პატრიოტიზმი).

მეორე მხრივ, სიტუა ადგილ-თან შეხამებით **მამული** აწარმოებს კომპოზიტს, რომელიც ისევ **მამულის** ამოსავალი მნიშვნელობით იხმარება (როგორც წესი, მრავლობითის ფორმით): **ადგილ-მამულ(ებ)ი**. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ახალ ადეკვტივს აწარმოებს: **საადგილმამულო**, რომელიც პრაქტიკაში პირველად ილიამ გამოიყენა მის მიერვე დაარსებული ბანკის სახელწოდებად: **საადგილმამულო ბანკი**. **მამულის** დერიგაცია სქემატურად ასე წარმოგვიდგება:



რაც შეეხება **მამულის** სინონიმის — **სამშობლოს** დერიგაციას, მისი ადეკვატური ფუნქციის საფუძველს იძლევა ამ სიტუაცის წარმოება პრეფიქს-სუფიქსით **სა — ო**, რომელიც უაღრესად პროდუქტიული მაწარმოებელია არა მარტო ძველ ქართულში, არამედ ამჟამადაც (საშობაო, საგავშვო, საგაზეთო, საგარეო, საკმაო, საყოველთაო...). იგი ანალოგიური ფუნქციის აფიქსების (-ურ/-ულ, -იან და მისთ.) მსგავსად, მიმღებული წარმოშობის გაარსებითებული **მშობელი** ფუძისაგან აწარმოებს ზედსართავს — **სამშობლოს** — **მშობლიურის** ანალოგიურს (შდრ. გალაკტიონისული „**მშობლიურო** ჩემო მიწაგ!“ და აკაკის სტრიქონი „განთიადიდან“: „ჩემო **სამშობლო** მხარეო“), შემდგომ კი მოხდა მისი სუბსტანტივაცია.

<sup>7</sup> საინტერესოა, რომ **მემამულეს** რუსული ეკვივალენტი **помещик** ნაწარმოებია **მამულისაგან** არა **ოტციზნა / отечество-ს** მნიშვნელობით, არამედ **поместье-საგან ყთოვ-ს** მნიშვნელობით.

საფიქრებელია, რომ თვით სიტყვა **სამშობლომ**, რომლის ამოსავალი ფუძეა მიმღებური წარმოშობის **მშობელი** (სასუბიექტო, ანუ მოქმედებითი გვარის მიმღება), მოგვიანებით განვითარა სუბსტანტიური სემანტიკა. ს.-ს. ორბელიანის **ლექსიკონში** (მე-18 ს.) იგი განმარტებულია, როგორც „დედის სახლი“, და მას დღემდე აქვს შენარჩუნებული ადიექტური მნიშვნელობა. ამას თვალნათლივ მოწმობს მისი შესამება არსებით სახელთან: **სამშობლო მხარე** იგივეა, რაც **მშობლიური მხარე**, და ეს მნიშვნელობა დასტურდება ქველა სახის (განმარტებით, ორენვეან...) თანამედროვე ლექსიკონებში.

განსხვავებით **მამულ-ისაგან**, **სამშობლოს** შემდგომი დერივაცია აღარ მომხდარა, რაც ამ სიტყვის რთულ (ცირკუმფიქსით) წარმოებას უნდა მიეწეროს; ესეც არ იყოს, -თ ხმოვანზე ფუძეგათავებული სახელი უფრო მოუქნელია სიტყვაწარმოებისათვის, ვიდრე ა ან ე ხმოვნებზე დამთავრებული სახელები.

ნაკლებ პროდუქტიული აღმოჩნდა ქართულში **დედული**, რომელიც ამ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულში ვერ დამკვიდრდა (მხოლოდ „დედის“ საალერსო ფორმის საწარმოებლად თუ იხმარება), სამაგიეროდ, -ეთ სუფიქსის დართვით ახალი სიტყვა აწარმოვა — **დედულეთი**, რომელმაც მიიღო „დედის სამშობლოს“ (მშობლიური ქვეყნის ან მხარის) მნიშვნელობა.

**4. პოლისემიიდან მოწოდებისაკენ:** სინონიმის ტერმინოლოგიზაცია. მას შემდეგ, რაც სიტყვა იფართოებს და იმდიდრებს მნიშვნელობას, იგი ახალ ადგილს პოულობს ენის ლექსიკურ სისტემაში: პოლისემიური მნიშვნელობის შეძენა მეტი მოძრაობის საშუალებას აძლევს ამ სიტყვას, რათა დატოვოს ფუნქციონირების ძველი ჩარჩო, მათ შორის — სინონიმთა ერთი მწკრივი და გადაინაცვლოს ახალში, ამასთან, თან გაიყოლოს მასთან სინტაგმურად და/ან ლექსიკურად დაკავშირებული სიტყვები.

სინონიმთა ურთიერთმიმართებას დიდად განსაზღვრავს გარემომცველი კონტექსტი, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სხვა სიტყვებთან სინტაგმური დაკავშირების ინტენსივობასა და ხარისხზე. კერძოდ, შენიშნულია, რომ პრაქტიკულად არ არსებობს სინონიმთა აბსოლუტურად ერთგვარი მიმართება სხვა სიტყვებთან სინონიმთა შესამებითი უნარის თვალსაზრისით [აფრიდონიძე 1988:290-1]. თუკი ერთ-ერთ სინონიმს დაუკავშირდა სპეციფიკური სიტყვა, რომელიც მეორე სინონიმს ნაკლებ ან სულაც არ შეეხამება, არ არის გამორიცხული, რომ პირველი სინონიმი ტერმინადაც კი იქცეს [ლამბაშიძე 1986:40-1].

ასე მოხდა, ჩვენი აზრით, **სამშობლოს** შემთხვევაში, როცა მას დაუკავშირდა არსებითი სახელები **დალატი** ან **მოლალატე**. **სამშობლოს დალატი** (შემდგომ ის **სახელმწიფოს დალატით** შეიცვალა) ცნობილი სინტაგმაა, რომელიც უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულს აღნიშნავდა და იგი უკანასკნელ ხანებამდე (2000 წლამდე) შედიოდა კიდეც სისხლის სამართლის კოდექსში, როგორც უმძიმესი და მთელი სიმკაცრით დასჭადი სახელმწიფო დანაშაული, ხოლო ამ საქციელის ჩამდენი **სამშობლოს მოლალატედ** (სასა-

უბრო, ხალხურ მეტყველებაში — **გამჟიდველად**) იწოდებოდა<sup>8</sup>; მოცემულ სინტაგმაში **სამშობლო** არ ჩაინაცვლებოდა მამულით — და ამის მიზეზი ამ შემთხვევაში **სამშობლოს** სემანტიკურ სპეციფიკურობასა თუ სივიწროვეში კი არ არის საძებარი, არამედ — პირუკუ — მის გამორჩეულად ზოგად და ფართო სემანტიკაში, როგორც ტერმინოლოგიზაციის პროცესის განხორციელების წინაპირობაში.

ასეთივე ბუნებისაა **სამშობლო** იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი იხმარება ამა თუ იმ ბუნებრივი (ძირითადად ენდემური) მცენარის ან ადგილობრივი წარმოების პროდუქტის, სპორტის ამა თუ სახეობის ან გარკვეული პოლიტიკური მოვლენის აღმოცენების ადგილის ალსანიშნავად (ინგლისი ფეხბურთის **სამშობლო**, ჩინეთი ჩაის **სამშობლო** და ა.შ.). ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ამის დამადასტურებელი მაგალითები:

უავის **სამშობლო ადგილი** არის არაბეთი (34). [ამერიკის მთების] ამ ტყე-ეჯშია **სამშობლო** ქინაქინის ხისა (36). ფრინველებს აგონდებათ თავიანთი **სამშობლო**, სადაც დროს მხიარულად და ბედნიერად ატარებდნენ (122); ისინი [მერცხლები] მართლაც ისევ დაბრუნდებიან, ჩვეულებრივ დაიწეუბენ ჭიჭიკისა და გალობას და თავისს **სამშობლო ქვეყანას შეამკობენ** (116);

**5.** სინონიმთა სინტაგმატიკისა და სტილისტიკისათვის. სინონიმების შედარებისას მათ ახასიათებენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: ფართო თუ ვიწრო მნიშვნელობის, ხშირად თუ იშვიათად ხმარების, ლიტერატურული თუ დიალექტური გარიანტების, ნასესხები თუ საკუთარი ლექსიკის მიხედვით... [კოლინსონი 1939:61 შმდ.; ულმანი 1977:142-3]. დიდი მნიშვნელობა აქვს დისკურსულ და უანრობრივ სხვაობასაც. არსებითად ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული საანალიზო სინონიმების ლექსიკური შეხამების უნარი და კომბინაციის შეზღუდვის ხარისხიც.

სინონიმთა ვერსიფიკაციული სტრუქტურა. პოეზიის ენაში, რომელიც რეგლამენტირებულია რითმა-რიტმის მოთხოვნებით, მეტ მნიშვნელობას იძენს სინონიმთა რიტმულ-რითმობრივი სტრუქტურის იერსახე. ერთი შეხედვით, საანალიზო სინონიმებს შორის შეიძლება ტოლობის ნიშანი დავსვათ: ორივე სინონიმის სიგრძე, თუ მას ამოსავალი ფორმით (სახელობითი ბრუნვით) ვიგულებთ და მარცვალთა რაოდენობით გავზომავთ, ტოლია — **სამმარცვლიანია**:

### მა-მუ-ლი — სამ-შობ-ლო

1	2	3	1	2	3
---	---	---	---	---	---

მაგრამ ეს — მართლაც ერთი (ზედაპირული) შეხედვით: მოცემული სინონიმები ფუძის მარცვალთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებული სიგ-

<sup>8</sup> ეს სიტყვათშესამება კომიკური ეფექტის წყარო გახდა ე. რიაზანოვის ფილმში „გარაუი“, როცა ფილმის ერთ-ერთმა პერსონაჟმა (ბურკოვის გმირმა) განაცხადა: ამ გარაუის გულისათვის მე სამშობლო გავიდეთ („Я из-за этого гаража родину продал“), რის შედეგადაც მას უველამ ზურგი შეაქცია, გულისამობდა კი ისეთსავე მიწის ნაკვეთს ქალაქგარეთ, რომელიც ქართულად **მამულად** იწოდებოდა.

რძისაა: პირველს ფუქი ხმოვანზე უთავდება და სამმარცვლიანია, მეორეს — თანხმოვანზე და ორმარცვლიანია. მაგრამ ბრუნვის პარადიგმებში სინონიმები არსებითად თანაბარი სიგრძისაა (3-მარცვლიანია). მხოლოდ მიცემითშია განსხვავება: **მამული**-ი ორმარცვლიანი ხდება (შტრ. **სამშობლოს** და **მამული-ს**), თუმცა **მამულს** დანაკლისის შესავსებად მოეპოვება სარეზერვო კლიტიკური საშუალება — ემფატიკური (მავრცობი) ხმოვანი -ა (**მამულ-ს-ა**); განსხვავებული შეიძლება იყოს მოქმედებითიც, რაკი **სამშობლოს** გრძელდება და 4-მარცვლიანი ხდება (მაგ., ამ კონტექსტში: ვამაყობ / თავი მომაჯვს **სამშობლო-თი**, შტრ. **მამულ-ით**).

ამ სინონიმებიდან რითმაში გამოსაყენებლად უფრო მოქნილია **მამული**, რამდენადაც მას ადვილად ერითმება -ულ-ზე ფუქებათავებული პროდუქტიული მიმღებები (გაბმული, ჩაცმული...), აბსტრაქტული სახელები — სრულად ან ნაწილობრივ (სიყვარული, ურიამული...), ანდა სხვა სახელები სათანადო ბრუნვებში (გული, სული...), მაშინ როცა დერიგატი **სამშობლოს** რითმისათვის მოუხერხებელია (მოუქნელია). უთუოდ ამით აისწება რითმაში მისი მოხვედრის პრაქტიკულად დაბალი ალბათობა. ამიტომაა, რომ **სამშობლოს** შემცველი სტრიქონი ან ურითმოა, ანდა მას მოსდევს ისეთი მსახლეობი ან ზმნა, რომელსაც ადვილად ეძებდნება რითმა.⁹

მართალია, წინამდებარე ანალიზში პროზაულ მასალას არ ვეხებით, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს სიტყვა **მამულისადმი** ილიას აშკარად სუბიექტური დამოკიდებულება. მისი არათუ მხატვრული შემოქმედება და განსაკუთრებით პოეზია, არამედ პუბლიცისტიკაც კი, შეიძლება ითქვას, სავსეა ამ სიტყვით და მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვებით. საერთოდ კი შეინიშნება, რომ **მამული** აქტივურად იხმარება უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული მწერლების, განსაკუთრებით კი — წარჩინებული წრის წარმომადგენელთა მეტყველებაში ზოგადად და პოეზიაში კერძოდ. იქნებ შემთხვევითი არ იყოს ეს კანონზომიერება და ამ სიტყვის ჩვეული ხმარება შესაბამისი ფენის — რომანტიკოს პოეტთა (მათ შორის განსაკუთრებით, გრიგოლ ორბელიიანის, ვახტანგ ორბელიანის...) შემოქმედებაში გამომდინარეობს სწორედ მათი “მემამულეობიდან” — მით უფრო,

9 სხვა რიგის გრესიფიკაციული დაბრკოლება შეიძლება შექმნას სათანადო სინონიმებს გრამატიკული სქესის მქონე ენებში, როგორიცაცა, მაგ., სლავური ენები, მათ შორის რუსულიც. შტრ. **რძინა** (სამშობლო) და **ოუცინა** (მამული), რომლებიც ვიზუალურად კი ერთნაირად გამოიყენებიან (ერთი და იმავე ხმოვნების მსგავსი რიგით), მაგრამ რთმებს მაინც ვერასოდეს ვერ შექმნიან, ვინაიდან აკუსტიკურიდ სრულიდ სხვადასხვა ქლერადობას იძლევიან (ეს კი არსებითია რითმიანი ლექსისთვის): მახვილი სხვადასხვა მარცვალს ეცემა, რის გამოც რითმის საკვანძო სარითმო მარცვლები იცვლება: **რძინა**-ში მახვილი პირებელ, **ო** ხმოვანს მოუდის, **ოუცინა**-ში კი მახვილი მუორა მარცვალზეა („ხ ხოვანზ“) ანიტომ უმახვილი **ო ა-დ** იითხება და გაუწაფავითვალით დანახულ შესაძლო რითმას ნაჩვევი უზრი (და ენა – ზეპირ მეტყველება!) ჟკუაღდებს. მაგრამ ამით არ ამოიჭურება ის დაბრკოლებები, რომლებითაც ომექტურად ემუქრება გრამატიკული სქესი რითმას: თუ სხვადასხვა სქესის სახელებს ახლავს მსახლეობრელები, ისინი თავიანთი ნირგვარი დაბოლოებებით (-თ, -ა, -ი, -ო), თანაც, სხვადასხვა ბრუნვაში, ხელს უშლიან რითმას და პოეტს სხვა გზის ძიება უზდება. რუსულში ზემოთ მოვანილი სინონიმებიდან ორივე მდედრობითი სქესისაა, მესამე სინონიმი კი (ოუცინები) – საშუალო სქესისა, და მას მსახლეობიც ამავე სქესის ფორმით უნდა შეეთანხმოს (мое, прекрасное, любимое...), ამასთან, სხვადასხვაგარად ულრის კუთხილებითი ნაცვალსახელისა და ზესართავის გარეგნულად მსგავსი დაბოლოება (-ის / -იე), რომ არაფერი ვთქვათ მახვილის ადგილონაცვლეობაზე.

რომ შემდგომ სწორედ თავად ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაარსდა სა-ადგილმამულო ბანკი. ამ ვარაუდს განამტკიცებს **სამშობლოს** ადრინდელი სინონიმისადმი ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოსაგრის — აკაკი წერე-თლის დამოკიდებულების, საერთოდ, ამ ორი კლასიკოსი სამოციანელის სიტყვახმარების სტატისტიკის შედარება პოეზიაში სიტყვა **მამულის** გამოყ-ენებისას. ეს შეფარდება ასე გამოიყურება:

ილია	აკაკი
<b>სამშობლო</b>	13
<b>მამული</b>	137

მაშასადამე, თუ ილია თავის პოეზიაში უმეტესწილად (და, შეიძლება ით-ქვას, შეგნებულადაც) ხმარობს **მამულს**, თან ისე ხშირად, რომ ეს სიტყვა მის პოეზიაში დაახლოებით 10-ჯერ აჭარბებს **სამშობლოს**, აკაკი დაუბრკო-ლებლად იყენებს თავის ლექსებსა და პოემებში **მამულსაც**, მაგრამ უფრო ხშირად (3-ჯერ მეტად) მაინც **სამშობლოს** ხმარობს.

აქ მოგვყავს ილიას ის გამონაკლისური ციტატები მისი თარგმანებიდან, რომლებშიც ძირითადად **სამშობლოა** ნახმარი, უფრო იშვიათად კი — **მა-მული**:

ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან  
მდინარეებზედ ბაბილონისა...  
**ვისიც მამული სამშობლოისა**  
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!

.....  
მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე — ჩიტს,  
კაცსა — **სამშობლო**, და ისრაილსა —  
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!  
(ბაირონი, „სტიროდეთ!“ I, 209).

მეცა მქონია კარგი **მამული!**..  
თურმე სუფევდა იქ სიყვარული.  
(\*\*\* მიბაძვა ჰეინესი, I, 216)  
(შესაძლოა, აქ **მამული** რითმის საჭიროებას უფრო ეხმიანება: მამული — სიყვარული).  
არ დაგივიწყებ, არა, არა!.. ვიდრე ჰფეთქს გული,

.....  
**შენი, სამშობლოვ**, უბედურო, ხსოვნა მექნება.  
(ტომას მური, „ირლანდიისადმი“, I, 244).  
ოხვრით შესჭვრეტდა აღმოსავლეთსა,  
თვის სამშობლოზედ ურვით მოკლული  
ცაზედ ეძებდა **მშობლიურ** მთებსა (I, 235).

.....  
გხედავდი — სხვებსა ჰყავთ მეგობარნი,  
აქვს ტკბილ სამშობლო, სახლი და კარნი...  
(ლერმონტოვი, „მწირი“, I, 237).

და მესიზმრა მე მხიარულად გაჩაღებული  
ღამის მექლიში ჩემსა სამშობლო ტკბილსა მხარესა.  
(ლერმონტოვი, „სიზმარი“, I, 239).

— ერთს კიდევ გკითხავ: არ გიდარდნია  
მასზედ, სად კმაწვილს გინავარდნია, —  
შენს განშორებულ ტკბილ სამშობლოსთვის  
და დალისტნისა გადახსნილ ცისთვის? (I, 227).

.....  
უფლისა ჩვენის უხვი ქვეყანა  
მშვენიერია, მენდე, უველგანა.  
გულს კი არა აქვს არსად მამული!...  
...ოჳ, შემიბრალე!.. მრჯვი, ვით სტირიან  
შენს სამშობლოში, შენს ქვეყანაში!

(ლერმონტოვი, „ჰაგი-აბრეკი“, I, 228, 230).

როგორც ვხედავთ, ილიას პოეტურ თარგმანებში, სამად სამი მაგალითის გარდა, **მამული** არ დასტურდება, **სამშობლოს** ნიმუშებმა კი აქ მნიშვნელოვნად იმატა და მას საგრძნობლადაც გადააჭარბა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ თვით ორიგინალურ ლექსშიც, რომლის სათაურია „უცხოეთში“, ნოსტალგირებული მშობლიური ქვეყანა კვლავ **სამშობლოთია** მოხსენიებული, და არა **მამულით**:

...და მხოლოდ ჩემი ურვით მოკლული  
შემომტირის მე მწუხარედ გული...

.....  
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა  
ეგრეთ დამცქერდა **სამშობლოს** ზეცა...

(„უცხოეთში“, I, 22).

ორიგინალურ ლექსში გამოუენებული სიტყვათშეხამება „ურვით მოკლული“ ამოტივტივდება **სამშობლოს** ხსენებაზე სხვაგანაც — ამჯერად თარგმანშიც:

„თვის **სამშობლოზედ** ურვით მოკლული“ (ლერმონტოვი, „მწირი“, 235).

ისე ჩანს, რომ სპეციფიკურ კონტექსტებში **სამშობლო** ილიასთან დასტანცირების მომასწავებელ სიმპტომად შეიძლება ვიგულოთ. იქნებ ამის გამოძახილი ისიც იყოს, რომ ცასთან (ზეცასთან) ილია ძირითადად **სამშობლოს** ხმარობს და არა **მამულს**:

**სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი**

მწუხრის ზეწარი გადაეფარა

(„კაკო ყაჩალი“, I, 147).

**შენს განშორებულ ტკბილ სამშობლოსთვის...**

**და დაღისტნისა გადახსნილ ცისთვის?**

(ლერმონტოვი, „ჰაჭი-აბრეჭი“, I, 227).

... თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა

ეგრეთ დამცქერდა **სამშობლოს ზეცა...**

(„უცხოეთში“, I, 22).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ **მამული** მხოლოდ ადამიანის **სამშობლოს** სინონიმად იხმარება, ხოლო ფაუნისა და ფლორის მშობლიური გარემოს დასახასიათებლად მხოლოდ და მხოლოდ **სამშობლო** იხმარება და არას-დროს **მამული**, გამომდინარე ამ უკანასკნელის თავდაპირველი, ეტიმოლო-გიური მნიშვნელობიდან).

**საერთოდ** კი ისე ჩანს, თითქოს სიტყვა „**სამშობლოს**“ ილია უფრო გან-ზოგადებული მნიშვნელობით აღიქვამს და მას უპირატესად ცრებით ლირებულებას ანიჭებს, მაშინ როცა **მამულს** მის ნაწერებში დაუფარავი ემოციის დაღი აზის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი კონკრეტული კონტექსტის კვალიბაზე (დიდაქტიკოსის შესაფერისად) ცდილობს ზედმიწევნით გასაგებად და მისაწვდომად (შეიძლება ითქვას, ერთგვარი ადაპტირებითაც) მიიტანოს მყითხველამდე უფელი სიტყვა თავისი სემანტიკურ-სტილისტიკური აქცენტებითა და ნიუანსებით.

ერთი ზოგადი დაკვირვებაც: საანალიზო სინონიმებისადმი პოეტების ემოციურ დამოკიდებულებას ამძაფრებს მათი ხშირი ხმარება მიმართვის (წოდებითის) ფორმით. აკი რიტორიკული კითხვების ერთ-ერთ მექანიზმს ქმნის ირეალური ადრესატის არსებობა, რომელთან გასაუბრებაც, მით უფრო, მისგან პასუხის მიღება არ იგარაუდება. ერთ ასეთ „მარად მდუ-მარე“ ადრესატად კი სწორედ სინონიმური **სამშობლო** და **მამული** იგულის-ხმება. გავიხსეროთ, ერთი მხრივ, იმავე ილიას ნატვრითი და თან უსასოო კითხვა: „**მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?**“, მეორე მხრივ კი — გამოსათხოვარი, ტკივილიანი მიმართვა ყვარლის მთებისადმი: „**სამშობლო მთები!** თქვენი შვილი განებებთ თავსა“, სადაც სიტყვა **სამშობლო** თვითონ ასრულებს მსაზღვრელის (= მშობლიურის) ფუნქციას.

ლექსიკური თვალსაზრისით საანალიზო სინონიმების შეხამებითი უნარი წებისმიერი არ არის, მაგრამ იგი არც უსაზღვროა. **სამშობლოსა და მამულის** ნაჩვევი შეხამება სხვა სიტყვებთან, განსაკუთრებით კი ეპითეტების გამომხა-ტველ მსაზღვრელებსა და მოქმედების დინამიკის გამომხატველ ზმრებთან ამ-გვარ სურათს იძლევა:

**ა) მსაზღვრელები:**

**სამშობლო:** ჩემი / ჩვენი, თავისი, ძველი, ტკბილი; ტანჯული, მტანჯველი, განშორებული, მხსნელი, გამომზრდელი, ...

**მამული:** ჩემი / ჩვენი, საყვარელი, უბედური, დაჩაგრული, დაობლებული...

ქართულ პოეზიაში ამ ორ სინონიმს შორის **მამული**, რომლისგანაც მრავალი სიტყვა იწარმოება (როგორც მარტივი, ისე კომპოზიტი), სინტაგმების (თავისუფალი შესიტყვებების) შექმნაში იმდენად პროდუქტული არ აღმოჩნდა, რამდენადაც **სამშობლო**, რომლის დერივაციული უნარი თითქმის ნულოვანია (თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს სიტყვა თვითონ არის დერივაციის შედეგი)<sup>10</sup>. ამიტომ საკომპენსაციო ფუნქციის შესრულება სინტაგმატიკას დაეკისრა.

ვფიქრობთ, ამისი მიზეზი თვით სიტყვა **მამულის** ემოციური აღქმის მაღალ ხარისხშია საძიებელი, რაც, თავის მხრივ, შეპირობებული უნდა იყოს ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის (=მამისაგან მემკვიდრეობით რეგებული მიწა) მეტაფორიზაციით — შუალედური, გაფართოება-უანზოგადების საფეხურის გავლით. ამ ემოციურობის მთავარი საფუძველი კი უნდა იყოს სწორედ მისი სიძველე, რამაც განაპირობა გარკვეული გაუცხოება მისი თავდაპირველი სემანტიკისგან „განდგომისა“ და, შესაბამისად, ერთგვარი არქაზიაციის გამო, რაც ხშირად არის ხოლმე ესთეტიკური ტქბობის წყარო (არქაზიაციის ეფექტისათვის ქართული ენის სინამდვილიდან გავიხსენოთ განსაკუთრებით რიტმული პროზის ოსტატის — ვასილ ბართოვისა და ანა კალანდაძის შემოქმედება).

ქართული პოეზის დიდალ მასალაში **მამულის** ეპითეტები ძალზე ძუნ-წადა წარმოდგენილი. არ გამოვრიცხავთ, რომ თვით „**მამული, საყვარელო**“-ს აუცილებლობა შეიძლებოდა წინამავალი სარითმო სიტყვის — **მდელო**-ს რითმობრივი ანარეკლის შექმნის ფუნქციას უფრო შეებირობებინა.

### ბ) ზმნები და ნაზმნარი სახელები (მასდარ-მიმღეობები):

**სამშობლო:** დაბადების ადგილი; მიტოვება (დაკარგვა, წართმევა, გადასახლება)

და დაბრუნება...; სამშობლოს გაყიდვა, არჩევანი (შეცილება, არგაცვლა...):

არ გავცვლი მე ჩემს **სამშობლოს**

სხვა ქვეუნის სამოთხეზედა

არც სხვა ვინმე ვარ, **სამშობლოს**

გარჩიო სხვის მთა-გორია.

.....

და თუ გავყიდო **სამშობლო**,

გამისკდეს მიწა წამზედა

(ერისთავი 72-3)

<sup>10</sup> საგულისხმოა, რომ სიტყვა **სამშობლო** არც ერთხელ არ გეხვდება „**ქართლის ჭირზე**“ მოღალადე, „მარადიული ემიგრანტის“ ბედის ტრაგიკულად განმცდელი დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. ეს სრულიად ეწინაღმდევება იმ მოლოდინს, რომლიც ეფუძნება დაკარგვის გამო საკუთარი მიწა-წყლის სიყვარულის გამძაფრების ლოგიკას; ხოლო სამშობლოს სევდა რომ ნამდვილად თრგუმავდა პოეტს, ამას საკომპენსაციო შესიტყვებები მოწოდს: **ჩემი ქვეყანა / მხარე, მიწა** (უპირისპირდება **უცხო ქვეყანა**), ანდა უშუალოდ საკუთარი სახელი – ხორონიმი **ქართლი**.

ჩემი სამშობლო ქვა-კლდეა,  
მუდამ იქ დაგიარები,  
იქვა ვშობილვარ, იქ მოვკვდე,  
იქ დალპეს ჩემი ძვალები!  
(შიო მღვიმელი, **ჯიხვი** [მიბაძვა რაფიელისა]).

**მამული:** დაგდება (= მიტოვება, დაკარგვა); დაცვა, თავდადება /თავგანწირვა...

გ) სინტაგმური ანალიგების შექმნა სინონიმური სიტყვებით — აბელატივებისა (საზოგადო სახელების) ან ხორონიმების (ქვეყნების სახელწოდებების) მონაწილეობით:

**ქვეყანა** — ჩემი / ჩვენი, მისი / თავისი, კარგი, მშობლიური, საყვარელი...

**საქართველო** (ხორონიმი = ქვეყნის სახელი): ჩემი, მშობლიური, საყვარელი, ლამაზი, სამშობლო.

ის ფაქტი, რომ **მამული** უმეტესწილად მსაზღვრელი ეპითეტის გარეშე წარმოდგება, ირიბად იმას ნიშნავს, რომ ორნამენტები და აქსესუარები მას არ სჭირდება, რადგანაც იგი ისედაც ძლიერია. კიდევ უფრო მეტი ძალა ენიჭება **მამულს**, როცა მას ბედის სასწორზე შეაგდებენ და სასოწარკვეთილი ალტერნატივის წინაშე აყენებენ: **მამული** ან **სიკვდილი**. ჩვილისათვის სამღერ „ნანას“ ილიასეულ ტექსტშიც შესაბამის სიტყვათშეხამებებს ვხვდებით:

უკვდავი არის შვილი  
**მამულისთვის მომკვდარი;**

ან, ვით შვილი ერთგული  
**დააკვდი მამულს მსხვერპლად!** (I, 43)  
სიკვდილის წამში **მამულს**  
შვილო, შენ გაულიმებ.

**ალსრულდები ღიმილით** —  
რომ **მამულს** არ უმტკუნე (I, 44).

სწორედ ამ იავნანაში აქვს ილიას მამულის წინაშე დედაშვილობის ეთიკურ მრწამსად ჩამოყალიბებული ცნობილი ფორმულა:

მას დედის **ძუძუ ტკბილი**  
შხამადაც შერგებია,  
**მამულისთვის სიკვდილი**  
ვისაც დაზარებია (I, 43).

ამ კონტექსტში ძილისპირულს პროგრამული ლოგიკურობით აგვირგვინებს შემაძრწუნებელი სიტყვები:

ნანა, მამულის მსხვერპლო,  
პაწაწინა ქართველო!  
(„ნანა“, I, 44).

მართალია სრულიად საპირისპირო — ნაზი, თბილი და ნათელი ტონალობით აქვს დაწერილი აკაკის „იმერული ნანინა“, მაგრამ სათავისოდ მამულის, უფრო კი სამშობლოს მსხვერპლის როლზე არც აკაკის ნათელ მუზას უთქვამს უარი:

არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს,  
მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა!  
(„მომაკვდავის ფიქრები“, III, 336).

და ხინჯად გულში მიმყვება მხოლოდ,  
რომ ვერ გავმხდარვარ სამშობლოს მსხვერპლად  
(„უკანასკნელი“, III, 129)

სამშობლო ჩემო! გიგზავნი გულსა,  
შენს ერთგულ მონას, მსხვერპლადცა მზასა,  
შეწვის ოხვრისგან დაწყლულებულსა.

(„ქართლის სალამი“, I, 39).  
წავალ, მივმართავ იმ წინაპართ გუმდს,  
სამშობლოს მსხვერპლად რომ შეწირულან..  
(„თამარ ცბიერი“, VI, 74).

ვაჟა-ფშაველას მდიდარ ლექსიყაში ორივე სინონიმი გვხვდება, თუმცა მის პოეზიაში სამშობლო უფრო ჭარბობს (მაგრამ რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, კახეთის აჯანყებისა და თავდაცვითი ბრძოლის ამსახველ პოემა „ბახტრიონში, ერთადერთხელ გვხვდება ამ სინონიმთაგან ერთი — სამშობლო — კვირიას სიტყვებში: „ოც წელს სრულ სხვიშილადა ვარ, | სამშობლო გამიწირია“, III, 146).

სინტაგმატიკა რიგ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მაგ., მიმღეობური წარმოშობის მცველი „სამშობლოს“ ცნების აღმნიშვნელ ორივე სინონიმთან იხმარება:

და თქვენც, ჰე, მთანო მაღალნო,  
ჩემის სამშობლოს მცველანო!  
(„საახალწლო“, I, 211).

სისხლი და ოფლი ერთურთში,  
ხმლითა მამულის მცველობა...  
(„ვნახე სამოთხე ამ ქვეუნად“, I, 207).

რა მივუტანო ამბავი გმირთა?  
რით ვანუგეშო სამშობლოს მცველნი?  
(„ბედის მომღლოდინე უბედო დავრჩი“, I, 231).  
სამშობლოს მცველნო, სადა ხართ?  
(„სამშობლოს მცველნო“, I, 254).

ანალოგიურ კონტექსტში („თავის ქვეუანას იცავდით“) ზოგჯერ თავს იჩენს თითქოს კონკრეტული — არწივის სახე, მაგრამ ისიც — მეტაფორულად:

**ჩემის სამშობლოს არწივნო,  
მოგესალმებით მთურადა.**

(„ჩვენს მხოლოდ მოღვაწეებს“, I, 204).

სამშობლოს სიყვარულისა და მასზე ზრუნვის გამოხატვისას ვაჟა აშკარად ავლენს იმ ბუნებრივ, ინსტინქტის დონეზე განვითარებულ შვილურ გრძნობას მშობლისადმი, როგორადაც წარმოუდგენია პოეტს საკუთარი თავი მშობლიურ ქვეყანასთან დამოკიდებულებაში. ამას ამტკიცებს მის მიერ მრავალგზის გამოირებული მშობელი მხარე, მშობელი ქვეყანა, მშობლური გალი, მშობელი ენა, ჩემი მიწა-წყალი, ჩემი ქვეყანა, საქართველოს შვილები და მისთ.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორში სამშობლოს გაიგივება დედასთან: ამ ასოციაციას აღძრავს, ერთი მხრივ, იმავე რ. ერისთავის ცნობილი სიტყვები:

**სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა!..**

ორივ ტბილია, ძმობილო, მირჩევის ორსავ თვალზედა...

(„სამშობლო ხევსურისა“),

ხოლო, მეორე მხრივ, ილიასეული სტრიქონები:

**ქართვლის დედაო, ძუძუ ქართლისა**

უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა...

(„ქართვლის დედას“).

სამშობლოს კონტექსტში დედისა და ძუძუს ერთად ხშირი ხსენება ამ ასოციაციას კიდევ უფრო განამტკიცებს, ხოლო დიდაქტიკოსი პოეტის მიერ დედისათვის მამულიშვილის აღმზრდელის როლის დაკისრება ამ ორგანულ კავშირს ინტენციურ სახეს აძლევს.

\* \* \*

საანალიზო სინონიმებს გალაკტიონ ტაბიძე, ანა კალანდაძე და XX საუკუნის ზოგი სხვა პოეტი მარჯვედ იქენებენ თავიანთ ლექსებში.

გალაკტიონი ერთი იმ იშვიათ პოეტთაგანია, რომლის არაერთ ლექსში ეს სინონიმები იდენტურ სინტაგმებში ხვდება და ეპაქტრება ერთმანეთს. მაგალითად, ლექსში „მამულო, სიცოცხლეო“ ვკითხულობთ:

**სიცოცხლეო, მამულო!**

**სიცოცხლეო, სამშობლოვ!** (5, 12).

ან:

იდიდე, ჩემო მამულო,  
აუგავებულო მამულო!

.....  
იდიდე, ჩემო სამშობლოვ,  
მარად იდიდე, იდიდე!

(„ტყის აშრიალდა ფოთოლი“, 6, 41).

ანდა:

ჰე, **მამულო!** გრძნობა შენი მოვლისა  
მარად უველა ჩვენთაგანის ვალია.  
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,  
სთქვა: „**სამშობლო,** უპირველეს კოვლისა!“

(5, 20).

დაუვიწყარი სტრიქონი შექმნა პოეტმა სიტყვა **მამულის** მონაწილეობით,  
— თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
არ გავიარე — რაა **მამული?**  
(1, 283).

მაგრამ გალაკტიონმა ძირითადად მაინც ფეხი აუწყომე-20 საუკუნის ენობრივ უზუსასა თუ გემოვნებას და „სამშობლოს“ ცნების ძირითად გამომხატველად მაინც (და შესამჩნევად უფრო ხშირად) ხმარობს **სამშობლოს**. ილუსტრაციების დამატებით სრულად მოყვანის საჭიროება არ ჩანს. სანიმუშოდ ორიოდ მაგალითით დაკმაყოფილდებით:

ჩანგო, აღსავსევ **სამშობლოზე**  
მრავალ ზმანებით (6, 137).  
**სამშობლო** არ დაივიწყოთ,  
**სამშობლო** — უმთავრესია  
(6, 80).

დიდ არს, **სამშობლოვა,** სახელი შენი!  
(6, 208).

მე-20 საუკუნის სხვა პოეტების ლექსებში სხვადასხვა ფარდობაა ამ სინონიმებს შორის. მაგალითად, თუ სიმონ ჩიქოვანი და **ლადო ასათიანი** საკმაოდ ხშირად ხმარობს **მამულს** (თუმცა თითქმის ორჯერ ნაკლებ, ვიდრე **სამშობლოს**), ტიციან ტაბიძის პოეზიაში **სამშობლო** ათვერ მეტია **მამულზე**, ხოლო პაოლო იაშვილთან **მამული** თითქმის არ გვხვდება (თუმცა მის ლექსებში არც **სამშობლოა** ხშირი: ერთ ათეულსაც არ აღემატება), გიორგი ლეონიძე კი ძირითადად **სამშობლოს** იყენებს. საკმარისია ითქვას, რომ ერთ მომცრო კრებულში (1952) „**სამშობლო**“ რამდენიმე ლექსის სათაურში გვხვდება: „**სამშობლოს**“ (ორჯერ), „მარად ბრწყინვას **სამშობლო**“, „ჩემო **სამშობლოვ**, შენი მეკვლე ვარ!“ „**სამშობლოსათვის**, სტალინისათვის!“)...

მომდევნო თაობის პოეტებიდან აქ მოკლედ მხოლოდ ორ პოეტზე შევჩერდებით: ანა კალანდაძესა და მუხრან მაჭავარიანზე.

ანა კალანდაძე ფაქტზად არჩევს ამ სინონიმებიდან იმას, რომელსაც მოირგებს მისი ლექსი — საერთო აზრითა და სტილით, ინტონაციით და რიტმიკით. მის ხელში უველა სიტყვა მუდამ თავის ადგილას არის. მაგალითად:

გალმოხდილია დიდი წარსული  
მამულისა და კაცთა წინაშე!

(\*\*\*გადმომზირალნი..., 364).

თვალს სასოებით მიგაპყრობთ მასა,  
წმიდათაწმიდას, **მამულო**, მთასა.

(„მოუცავს გული წმინდა მოლოდინს“, 411).

საჭიროების დროს პოეტი არქაიზმებსაც თავისუფლად მიმართავს: არქაიზაცია მისი სტიქია. ცნობილია, რომ ძველი ქართული ანას ლექსში ბუნებრივად ჟღერს, და ეს თანაბრად ეხება ჩვენთვის საინტერესო სინონიმებსაც. მაგ.:

**სამშობლოს** ცას სცოდნია  
გაშლა ლურჯად

(„ვერ წაიღეს, ვერა!“ 72).

გზა ფეხშიშველმა გამოვლო თამარ  
თავის ხალხის და **სამშობლოს** გამო  
(„შორია თამარ“, 68).

სინონიმების პარალელური ხმარების თვალსაზრისით მოკლედ შეიძლება ითქვას **მუხრან მაჭავარიანის შესახებ** (რომელიც ამავე დროს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა 1990-იან წლებში პარლამენტარის სტატუსით). მის პოეზიაში ვკითხულობთ, ერთი მხრივ:

ვისმერ, **მამულზე** დავითისას მე როცა გლოვას... (230).

**მამულზე** ფიქრით დამაშვრალს

სისხლი ამიჭრა მავანთა

პირშიმთქმელობის თამაშმა

(\*\*\*ვისმერ...191).

**მამული** გონითით

გამოგლიჭო მას

როგორ გინდა?!

(\*\*\*გაოგნებული...154)

მეორე მხრივ:

მე კი იმ ქართველს რა ვუთხრა,

ვისაც **სამშობლო** თავისი

სუნთქვას არ უკობს საკუთარს

(\*\*\*არ უნდა პაექრობანი! 26)

**სამშობლოს** ჩემსას ჩაფრენია დათვი თათებით (\*\*\* 186).

**სამშობლოს** ჩემსას ეს-ენ-ვე-ში ეშველა შესვლით! (\*\*\*179).

გენატრება უცხოეთში

მონატრება **სამშობლოსი!**

(„თქაშათქუში გესმის თქეშის“, 71).

ეჭვგარეშეა, რომ სიტუგა **სამშობლოს** ფართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო საუკუნის დამლევს საბჭოთა პრესაში ამ სიტუგის ინტენსიურმა ტი-

რაჟირებამ, რაც, თავის მხრივ, ნასაზრდოები იყო მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საბჭოური პროგაგანდით. საბჭოთა კავშირის დაშლამ და მასში ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების სუვერენიტეტთა ძლიერმა ტალღამ სათავე დაუდო 1989 აპრილისა და მომდევნო წლების მოვლენებს დედაქალაქსა და მთელს საქართველოში, რამაც, თავის მხრივ, შეაპირობა ის სამეტებელო დისკურსი, რომლის ერთ-ერთი აქტიური ელემენტი იყო „სამშობლო“ და რომელიც ექსპრესიის გასამძაფრებლად თითქმის დავიწევ-ბული ძველი სინონიმით — „მამულით“ შეიცვალა.

თავისებური ნიადაგი შეუმზადა ამ მოვლენებსაერთო-სახალხო მღელვა-რებამ 1978 წელს, როცა საქართველოში ქართული ენა კონსტიტუციური უფლებების შელახვის წინაშე იდგა. იმხანად პარლამენტის წინ გაკრულ პლაკატებზე სამიტინგო დევიზად ეწერა ილიასეული — „**მამული, ენა, სარწმუნოება**“ (სხვათა შორის, უკუწყობით: ენა, მამული, სარწმუნოება!), ხოლო მიტინგების წარმმართველ ორატორთავან საზოგადოებისადმი მიმართვის ფორმა — „**მამულიშვილობობა**“ — ალიქმებოდა ეროვნული მოძრაობის ერთ-გვარ პირობით კოდად.

მაშინ, როცა საბჭოთა ეპოქის ქართულში ძირითადად გვიანდელი სინონიმი **სამშობლო** იხმარებოდა, იმავე ხანის რუსულში ასეთივე ადგილი ეჭირა **Родина-ს**. გავიხსენოთ საბჭოთა კავშირში გავრცელებული პლაკატი, როცა II მსოფლიო ომი დაიწყო: **“Социалистическая Родина в опасности!”** (“სო-ციალისტური **სამშობლო** განსაცდელშია!”). ამასვე ადასტურებს საბჭოური პოეზია, განსაკუთრებით საბჭოთა მოქავშირე რესპუბლიკების უმეტესობის სახელმწიფო ჰიმნებში. მაგ., საბჭოთა საქართველოს ჰიმნი იწყებოდა სიტყვებით: „იდიდე მარად, ჩემო **სამშობლოობა!**“. ამდენად, სათანადო სემანტიკის სიტყვების იდეოლოგიური აქცენტი იგრძნობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნებშიც.

გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ჰიმნები წარმოდგენილია სტანდარტული ფორმით, როგორც წესი, მიმართვის ან სახელობითის ფორმით, რომლითაც მოხსენიებულია ქვეყნის სახელწოდება. სათაურები პრაქტიკულად ემთხვევა ჰიმნის ტექსტის პირველ სიტყვას (სიტყვებს). თითქმის შველა ეს ჰიმნი იწყება ჩვენთვის საინტერესო სინონიმური სიტყვებით (აქ ისინი თარგმანში მოგვავს): **სამშობლო ან მამული** (ერაყი, აფრიკის რიგი ქვეყნები, სომხეთი...), ზოგჯერ სამგზის განმეორებითაც (მაგ., ეგვიპტე); სახელებს შეიძლება ახლდეს მსაზღვრელები: I ჰიმნის კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **ჩემო /ჩენო,** სხვადასხვა დადებითი ემოციის გამოხატველი ეპითეტი: **საყვარელო სამშობლო** (ცალ-ცალკე ან ერთად: ბულგარეთი და სხვ.); **კეთილ-შობილო,** ჩემო სიამაუებ და სიხარულო! (ესტონეთი), **ჩენო ლამაზო სამშობლო „სახლეთო“** (ხორვატია). ჩვენი წინაპრების მიწა(ვ) (ტოგო), **სამშობლოს დამცველო** (ტუნისი), **ურუგვაელებო, მამული ან სიკვდილი!** (ურუგვაი)...

ზოგჯერ ჰიმნის დასაწყისი მთელი წინადადებითაა გამოხატული: (ამა-ჟად) **მოგესალმები,** თ, მამული (ეკვადორი), **სამშობლოვ,** **შენა ხარ დიდი მზე** (ავსტრია), **ეს ჩენი საყვარელი მამულია** (გვინეა, ეკვადორი); გვხვდება წინდებულიანი ფორმებიც (გამბიისათვის! ჩვენი სამშობლოსათვის!), ქვეყ-

ნის სახელი + სამშობლოვ! /დედულეთო! (ნამიბია, ნაურუ...). მაგრამ თუ ამა თუ იმ ენას ვოკატივის ფორმა არ გააჩნია, მის კომპენსაციას სახელობითი ეწევა. ამ შემთხვევაში ქართული თარგმანი წოდებითის ფორმით მოგვავს. უპირატესი მსაზღვრელია | პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი (**ჩემო /ჩვენო**), ხოლო ეპითეტებიდან მუდამ დადგებითი ემოციების გამომხატველი ზედსართავი ან მიმღეობა: საუგარელო, ზოგჯერ — **ლამაზო, კეთილშობილო**; აბსტრაქტული სახელები სიამაყე(ვ) და სიხარულო. მიმართვის ადრე-სატი უმეტესად სამშობლო, მამული და წინაპრების მიწა, ცალკეულ შემთხვევებში — სამშობლოს დამცველი, ან ღმერთი („ღმერთო, გვიკურთხე სამშობლო!“ — განა), რომელსაც სთხოვებ სამშობლოს კურთხევას (გავიხ-სენოთ ვაჟას პოპულარული სტრიქონები: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვდუდურებ“).

სამშობლოს დამცველის პოზიციითაა ნაკარნახები ფიცისებური ჟლერა-დობის, რადიკალური-იმპერატიული დევიზის შემცველი ალტერნატივაც: **მამული ან სიკვდილი!** ზმნები ამგვარ ფორმულებში იშვიათია (ხოლო თუ გვხვდება, ეს არის: *salve!* = სალამი // მოგესალმები(თ)!).

შეგნიშნავთ, რომ ამგვარი ორიენტაცია სამშობლოზე უპირატესად მცირე ქვეყნებს აქვთ და ამ შემთხვევებში ჰიმნების ტექსტი მუდამ ემოციურად დატვირთულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი განწყობილებების გამომხატველი ლექსიკითა და ზეაწეული ინტონაციით. ამ მხრივ სტერეოტიპული კომპონენტებით გამოირჩევა აზის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალი რესპუბლიკების, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის მცირე მოკავშირე რესპუბლიკების (თუმცა არა მარტო მათი) ჰიმნები, რომლებშიც ჭარბობს — ასევე სტერეოტიპულად — ძმობა-მეგობრობის, თავისუფლების, ერთიანობისა და მისთ. ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები. მათი შეგნებული სიჭარბე ჰიმნებში ობიექტური მყითხველის თვალში სათანადო ქვეყნების სინამდვილეში ამ ზნეობრივი იმპერატივების დეფიციტზე უფრო მიანიშნებს.

სინონიმთაგან ამა თუ იმ ალტერნანტის ხმარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული — როგორც წმინდა ენობრივ, ისე (და განსაკუთრებით) ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე. კერძოდ, გადამწევეტ როლს ასრულებს პოლიტიკურ-იდეოლოგიური კლიმატი იმ ქვეყნებში, რომლებშიც მართვის ავტორიტარული რეჟიმი ბატონობს (ან ბატონობდა ახლო წარსულში).

რაკი საქართველოსაც საკმაოდ დიდანს მოუხდა ამგვარი რეჟიმის პირობებში ცხოვრება, ამას არ შეიძლებოდა თავისი კვალი არ დაეჩნია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე. ქართულ ენას, მიუხედავად ხანგრძლივი კულტურული ტრადიციებისა, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, გარკვეული დონით და თვისებრივადაც, სხვადასხვა სახის ცვლილება განუცდია, რაც, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა ამ პროცესების უშუალოდ თუ ირიბად ამ-სახველ ენობრივ მექანიზმებზედაც.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ფეოდალურ (ან მასთან მიახლოებული ფორმირების) საზოგადოებაში აღმოცენებული ლექსემა **მამული** და მისი სემანტიკური ეფოლუცია ერთგვარად განსხვავებულ საწყისებზე გაჩენილ

სიტყვა **სამშობლოსთან** თანაარსებობის პირობებში შემდგომი კვლევის საგნად რჩება. კერძოდ, გამოსაკვლევია, რა შინაარსს ატარებდა ეს სიტყვა სხვადასხვა ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხების ერთ პოლიტიკურ ორგანიზმი მოქცევისას და როგორ უნდა შეფასდეს ის თანამედროვე საზოგადოებრივი პროცესების ფონზე.

## დამოწმებანი

### ლიტერატურა

**აფრიდონიძე 1988:** შუქია აფრიდონიძე, ე. წ. „აბსოლუტური სინონიმებისათვის ქართულში“: კრ. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, თბ., მეცნიერება, 1988, 279-92.

**კიქნაძე 2005:** ზურაბ კიქნაძე, „ილიას მამული“: კრ. საქართველო ათასლეულთა გასაყართან, თბ., არეტე, 2005, 28-52.

**კოლინსი 1939:** Comparative Synonymics: Transactions of the Philological Society.

**ლაიონსი 1968:** John Lyons, Introduction to Theoretical Linguistics. Cambridge University Press.

**ულმანი 1977:** Stephen Ullmann, Semantics. An Introduction to the Science of Meaning, Oxford. Basil Blackwell.

**ფოჩხეუა 1974:** ბიძინა ფოჩხეუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., თსუ გამ-ბა.

**ლამბაშიძე 1986:** როგნედა ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., მეცნიერება.

### ლექსიკოგრაფიული წეაროები

**აბულაძე 1973:** ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., მეცნიერება.

**დათიკაშვილი 1959:** ქეთევან დათიკაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., საბჭოთა საქართველო, II ტ.

**დათიკაშვილები 1967:** ქეთევან და არჩილ დათიკაშვილები. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., საბჭოთა საქართველო, III ტ.

**მარგალიტაძე 1995-2008:** თინათინ მარგალიტაძე (მთ. რედ.). ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. თბ., თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი.

**ორბელიანი 1965-66:** სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი: თხზულებათა სრული კრებული, IV, 1-2 (გამოსაცემად მოაშადა ილია აბულაძემ, თბ., საბჭოთა საქართველო).

**რეიფილდი 2006: A Comprehensive Georgian-English Dictionary** (დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი). (Editor-in-Chief D. Rayfield), 1-2 vol., London, Garnett Press.

- რქმ 1937:** რუსულ-ქართული ლექსიკონი (რედ. ქ. ორაგველიძე), თბ., თსუ გამ-ბა.
- რქმ 1983:** რუსულ-ქართული ლექსიკონი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი (რედ. ქ. ლომთათიძე), თბ., საბჭოთა საქართველო.
- სარჯველაძე 1986:** ზურაბ სარჯველაძე, ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I-II. თბ., მეცნიერება.
- სარჯველაძე 1995:** ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თსუ გამ-ბა.
- ქეგლ 1950-64:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), I-VIII, თბ., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა.
- ყაუხეჩიშვილი 2002-07:** ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი (ს. ყაუხეჩიშვილის საერთო რედაქციით, პ/რედ. ლ. კვირიკაშვილი), I-V, VI-VII ინდექსი (ქართულ-ბერძნული), თბ., პროგრამა ლოგოსი.
- ჩერნიხი 2002:** П. Я. Черных. Историко-этимологический словарь современного русского языка (в 2 томах), М., Русский язык.
- ჩუბინაშვილი 1902:** დავით ჩუბინაშვილი. რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.
- ჩუბინაშვილი 1887:** დავით ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი (Грузино-русский словарь, вновь составленный Давидом Чубиновым). Санкт-Петербургъ, Типография Императорской Академии Наук.

## საილუსტრაციო წეროები

- გვარამია:** რუსუდან გვარამია. „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი (968 წლის ხელნაწერის მიხედვით), მეცნიერება. თბ., 1986.
- გოგებაშვილი:** იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი (III და IV წლისათვის), 21-ე გამოცემა, სტამბა ს. ლოსაბერიძისა. თბ., 1912.
- გოგებაშვილი:** იაკობ გოგებაშვილი, დედა ენა. მეორე ნაწილი (საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ), 27-ე გამოცემა, სტამბა ს. ლოსაბერიძისა. თბ., 1912ა.
- ერისთავი:** რაფიელ ერისთავი, რჩეული თხზულებანი (ერთტომეული). საბჭოთა მწერალი. თბ., 1958.
- გაუა:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. 1-2. საბჭოთა საქართველო. თბ., 1964.
- გახუშტი:** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება, IV (ს. ყაუხეჩიშვილმა), საბჭოთა საქართველო. თბ., 1973.
- იმნაიშვილი:** მამათა ცხოვრებანი (გამოსაცემად მოამზადა ვახტანგ იმნაიშვილმა), მეცნიერება. თბ., 1975.
- კალანდაძე:** ანა, ლექსები, ქართული ენა. თბ., 2004.
- ლეონიძე:** გიორგი ლეონიძე, ლექსები და პოემები, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამოცემლობა. თბ., 1952.

## **შუქია აფრიდონიძე**

---

**მაჭავარიანი:** მუხრან მაჭავარიანი, გიკვირს?! — ნუ გიკვირს! (ლექსები). მოსკოვი, 1995. ორბელიანი გრ.: გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, საბჭოთა მწერალი. თბ., 1959.

**ორბელიანი გ.:** ვახტანგ ორბელიანი, ლექსები. სრული კრებული. ქართული წიგნი. ტფ., 1928

**რუსუდანიანი:** რუსუდანიანი, (ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით), საბჭოთა მწერალი. თბ., 1975.

**ტაბიძე:** გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, საბჭოთა საქართველო. თბ., წერეთელი: აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტტ. 1-3. სახელგამი. თბ., 1966-1975.

**ჭავჭავაძე:** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 5 ტომად (პავლე ინგოროვას და ალ. აბაშელის რედაქციით), თბ., 1937.

## **Samshoblo<sup>1</sup> And Mamuli<sup>2</sup> ('Homeland')**

(Linguistic Analysis Of Georgian Synonyms)

Shukia Apridonidze

*Motivation:* Research into any synonymous pair or group has self-sufficient value, and their choice does not stand in need of special argumentation. But in the present case the choice of the synonyms to be analysed was prompted by a preliminary (it may be said, perfunctory) observation of the differentiated attitude of Ilia Chavchavadze, Georgian literary classic of the 19th c., to the synonymous pair *mamuli* and *samshoblo*. In his original writings (poetry, belles-lettres, publicism) the author intensively – and I believe, consciously – uses *mamuli* to designate his own country, while in poetic translations (of Byron, Heine, Thomas Moore, Lermontov) – made directly from the language of the original or through some other (intermediary) language – the translator gives preference to *samshoblo* (Chavchavadze 1937: I, 209-44). Besides, the purely terminological use of *samshoblo*, one of the synonyms, in some contexts in modern Georgian is noteworthy. Examples of such contexts are: *samshoblos* (not *mamulis*) *ghalat'i* (legal use), 'betrayal of one's homeland'; *chineti chais samshobloa* (not *mamuli*) 'China is homeland of tea'.

Such non-substitutability or differentiated use-non-use of synonyms naturally stirs the researcher's interest, challenging him/her to make his/her special study.

In modern Georgian two synonyms are used to denote the concept of 'homeland': *samshoblo* and *mamuli*. Research into the following components is proposed in order to study their interrelationship:

1. *The definition and typology of etymologies of the synonyms;*
2. *From monosemy to polysemy and synonymization;*
3. *Derivation (including forming compound words);*
4. *From polysemy to monosemy and terminologization.*
5. *Syntagmatics and Stylistics of synonyms;*

1. *The definition and typology of etymologies of the synonyms.* Among the synonyms to be analysed *mamuli* is the oldest. It occurs in the oldest specimens of Georgian writing – both in biblical (i.e. translated) and original sources – in two meanings: adjective (*mamuli rchuli / shjuli* = father's law), and substantive (*mamuli* = birthplace, land

---

1 = homeland, motherland. 2 = fatherland.

inherited by the son). This is confirmed by dictionaries of the Old Georgian language [OGD 1973; OGD 1995] and concordances of various texts (the Gospel, historical chronicles, e.g. concordance-dictionaries of “*Kartlis Tskhovreba*” (“The Life of Kartli”).

As to *samshoblo*, it is practically not attested in written texts until the turn of the 12-13<sup>th</sup> centuries. Its establishment and spread is connected with the 18th century: textually it is mentioned in the basic source of the historian of the period, Vakhushti Batinoshvili “*Aghts’era sameposa sakartvelosd*” (“Description of the Kingdom of Georgia”) [Vakhushti 1973]; it was entered in a dictionary for the first time by Sulkhan-Saba Orbeliani, a humanitarian figure of the same century. However, he entered it as ‘mother’s house / home’ [Orbeliani 1965-66]; (cf. *deduleti* of today ‘mother’s native village’). This points to the fact that *mshobeli* (now ‘parent’) originally denoted only ‘mother’ (cf. *ghotismshobeli*, whose synonym is *deda ghotisa* ‘Mother of God’. Several churches in Georgia are known under this name). Only later did *mshobeli* become generalized, when the word took on itself the designation of both – ‘mother’ and ‘father’ – both separately (sing. *mshobel-i*) and together (pl. *mshobl-ebi-i*).

*Samshoblo* became established in the poetry of Georgian romanticists (first half of the 19th c.), although *mamuli* too occurs there in parallel till the end of the century. Beginning with the 20th c., especially after World War Two, *samshoblo* becomes almost dominant in Georgia (in line with parallel usages in the various languages of the USSR). This was greatly facilitated by Soviet propaganda that established the word *Rodina* in Russian, and to render it in Georgian *sa-mshoblo* – bearing more general nuance – was used, while *mamuli* turned into a local synonym. However, its derivative *sa-mamul-o* in combination with *omi* (“war”) was used as a term denoting World War Two. At the end of the 20th c., when preconditions were being created for the break-up of the Soviet Union, and trends of democratism and liberalism emerged in the Union Republics, the functioning of *mamuli* revived with new force, turning into a key word at rallies (for months the slogan was posted in the form of Ilia Chavchavadze’s triad: “*mamuli, ena, sarts’munoeba*” (“Father-land, Language, Faith’). The vocative form of address prevailed in resounding speeches: *mamulish-vilno!* (“Patriots’! lit. ‘Children of the fatherland’!).

The number of synonymous words denoting this concept in various languages claims attention. In Romance languages, and in some other languages, a single word is used – with no alternative (e.g. *patria, patrie*); the same model is found in Armenian (*hayrenik*, precisely means ‘fatherland’). In some languages there are two synonyms (e.g. in Georgian, German, Hungarian, Russian: *samshoblo - mamuli, Heimat - Vaterland, hon - haza, rodina - otechestvo*, respectively). In some languages – though very rarely – three words occur (e.g. in English: *homeland, fatherland, motherland*).

As to the typology of etymologies, the majority of the words (more than half) denoting *samshoblo* (“homeland”) have the stem ‘father’, notwithstanding the structure of the relevant word: single-stem or a compound word. In the remaining part we find: ‘mother’, ‘parent’ (“parental”) or ‘house’. One (usually the second) of the constituent parts of compound words as a rule denotes ‘ground’, ‘dry land’ while

the first refers to one of the above-named. Typical specimens of this are provided especially by Germanic languages: German itself (*Vaterland*), Norwegian (*fædreland*), Swedish (*fäderneslandet*), although *fosterlandet* is more common (meaning the land that fostered / raised you), Icelandic *föðurland*, all of them literally meaning "land of the father", and, at last, all the three English terms (see above).

**2. From monosemy to polysemy and synonymization.** Generally speaking, in the course of development of a language, the parts of speech evince a natural tendency towards semantic change and, accordingly, to inner grammatical transformations. This implies enrichment and diversification of the meaning of a word, on the one hand, and making it more precise through narrowing its semantics and, in a number of cases, its terminologization, on the other. The frame of lexical paradigmatics, in particular *synonymy*, now broadens, now narrows, words move from one row of synonyms to another, or these rows are discarded and new ones formed, etc. (Pochkhuia 1974, 170-76; 237-40). Neither the words of the present analysis have escaped these changes.

The foregoing becomes evident from the evolution of the semantics of *mamuli*, each stage of which is attested by historical or lexicographic sources. The following picture of the semantic development of the words under analysis seems to take shape: adjective ('father's') > substantivization ('land inherited from one's father'), through metonymy ('homeland'). It is at this large stage that the convergence of *mamuli* and *samshoblo* is presumed.

For its part, *samshoblo* traversed an almost analogous path, moving towards *mamuli* as its potential synonym. However, the difference lies in the fact that as a result of their synonymization, *mamuli* in general lost its adjectival meaning, while *samshoblo* preserved it (*samshoblo mkhare* ('native region'), *samshoblo mtebi* ('native mountains')). But *mamuli* has not lost the polysemic meaning of a noun: it still has the semantics of physical, private arable land (vineyard), which is attested in modern dictionaries.

Therefore, the polysemic meaning of both synonyms served as the primary basis for the establishment of synonymous relations between them. The extension, generalization of meaning and metonymy should be assumed as subsequent stages (for more detailed analysis see Ullmann 1977, esp. 218-20; 227-31).

**3. Derivation of the synonyms.** Both Georgian synonyms are formed by affixes: *mamuli* by the suffix -ul, while *samshoblo* by the circumfix sa- and -o. Both these affixes are primarily adjective-forming: the most widespread function of the suffix -ul is, on the one hand, formation of the object participle of the past tense (e.g. *chats-m-ul-i* 'dressed'), and, on the other, of diminutive-hypocoristic names (Nan-ul-i), to say nothing of the formation of provenance, where it is only a phonetic variant of the suffix -ur (as a result of assimilation: *inglis-ur-i* ('English'), but *german-ul-i* ('German'; at the same time, it is a constituent part of some complex suffixes (-a-ul, -e(v)ul, -i(v)ul...)). *ded-ul-i* (the stem being *deda* 'mother') was also formed in analogy with *mam-ul-i*, the former too is attested in Old Georgian in the adjectival function


(='mother's', 'maternal'), e.g.: *deduli rchuli/shjuli/sjuli* (= 'mother's, maternal religion': "shemoigho *sjuli mamuli* da dau't'eva *sjuli deduli*". 'He has introduced his paternal religion and abandoned his maternal religion' (*Kartlis Tskhovreba, I, 29, 11: English translation by R. Thomson*). The adjectival semantics of *mamuli* and *deduli* in the entire context is quite obvious. *deduli* proved less productive, for it formed only *deduleti* by adding the suffix *-et*. The derivative acquired the meaning of mother's home / village – her native land or region.

The derivational compound word *mamul-deduli* seems to have been derived by analogy with the compound word *mama-deda* ('father-mother' formed from components of simple derivation. *mamul-deduli* is the same as *samemk'vidre* 'inheritance' (OGD 1973; OGD 1995), in which the prefix *sa-* – *o* also points to the original adjectival function. Both these words of analogous formation have derived abstract words already in Old Georgian: *mamulobai* (=patrimonialness, inheritance; posterity); *dedulobai* (= matrimonialness).

The word *mamuli* proved fairly open and productive for further derivation: after it turned into a substantive, it again formed an adjective by adding the circumfix *sa-* – *o*, resulting in the word *sa-mamul-o* which, in various combinations, acquires a somewhat differing meaning: in the combination *samamulo omi* ('patriotic war') – the defence of one's own territory, the defensive nuance (fight for one's homeland), while in the combination *samamulo nats'armi/produktsia* 'local / domestic product' is implied.

The noun *me-mamul-e* is also a derivative of *mamul-i* through adding the circumfix *me-* and *-e* ('inheritor', OGD 1995; from the latter we have an adjective *me-mamul-ur-i* and an abstract noun *memamule-oba* ('legacy, inheritance').

Here is a diagram of the derivation of the noun *mamul-i* (-i nominative marker):



These derivatives acquire an absolutely different meaning when they add the prepositional element *tana-* ('co-'). Today the word *tanamemamule* has the semantics of 'fellow clansman, diaspora'. The compound word *mamuli+shvil-i* is derived from

the same word, being the Georgian equivalent of 'patriot'; the adjective *mamulishvilur-i* ('patriotic') and the noun *mamulishviloba* ('patriotism') are derived from it.

As to the derivation of *samshoblo*, the later synonym of *mamuli*, it is derived by the prefix *sa- - - o* which is a highly productive affix in forming adjectives not only in Old Georgian but at present too: *sashobao* (adj. 'Christmas'), *sabavshvo* ('children's), *sagazeto* ('of newspaper'), *sagareo* ('foreign'), *sakmao* ('sufficient'), *sagovreltao* ('universal')...

The noun *samshoblo* (*sa-m-shob-l-o*) has rather scant derivation: coming from *mshobeli* (*m-shob-el-i*, 'mother', now 'parent'), it has two functions in the same time: of an adjective and of a noun. Its synonym for an adjectival meaning, *mshobliuri* 'native', is another derivative of the same initial noun (*m-shob-l-iur-i <mshobeli*) 'native'. According to S.-S. Orbeliani, the Georgian lexicographer of the 18th c., *samshoblo* meant 'mother's house'; in the same time it has preserved adjectival semantics to the present day. This is clearly evidenced by its combination with a noun: *samshoblo mkhare*, which is the same as *mshobliuri mkhare* ('native place / region'), attested in all types of modern dictionaries (explanatory and bilingual as well).

Unlike *mamuli*, further derivation of *samshoblo* has not taken place, which should be ascribed to the complex (circumfix) formation of this word; after all, a noun whose stem ends in *-o* is rather inflexible for derivation than noun-ending in *a* or *e*.

4. *From polysemy to monosemy and terminologization of synonyms.* After a word has widened and enriched its meaning, it finds a new place in the lexical system of the language: acquisition of polysemic meaning allows it more freedom of movement, owing to which this word may leave the old framework of functioning, including one row of synonyms and move to a new one, taking along words related to it syntagmatically and / or lexically.

The interrelationship of synonyms is largely determined by their context, which in turn depends on the intensity and degree of syntagmatic relation to other words. In particular, it has been observed that practically there does not exist an absolutely same relationship from the viewpoint of the capacity of synonyms to combine with other words. If a specific word, that combines less or not at all with another synonym, becomes related to one of the synonyms, the turning of the first synonym into a term is not ruled out. I believe, this was the case with *samshoblo* when the nouns *ghalat'i* ('treason') and *moghalat'e* ('traitor') became linked to it.

*Samshoblos ghalat'i* ('high treason', lit. 'treason of homeland'), a well-known syntagma, denoting the gravest state offence, until the last years of the 20th c., was entered in the criminal code as the gravest crime against the state punishable with maximum severity, while he/she who perpetrates this crime is called *samshoblos moghalat'e* 'traitor to one's country' (nowadays the component *samshoblo* is replaced by *sakhelmts'ipo* 'state'). *Samshoblo* in this syntagma was not replaced by its earlier synonym *mamuli*, and the reason for this is not to be sought in the semantic specificity or narrowness of *samshoblo*, but, on the contrary, in its distinctly general and broad semantics, that is a precondition for the realization of the process of terminologization.

*Samshoblo* is of the same nature also in the case when it is used to denote this or that natural (largely endemic) plant (e.g.: *chineti* 'China' (nom.) *chais* 'tea' (gen.) *samshobloa* 'homeland is' (= China is homeland of tea), or a product of local manufacture, one or another type of sport (*Inglisi* 'England' (nom.) *pekhburtis* 'football' (gen.) *samshobloa* 'homeland is' (= England is the *home* of football'), or some political event, etc. At last, the term *nostalgia* gives in Georgian the syntagma: *samshoblos sevda*, i.e. homesickness.

5. *Syntagmatics and stylistics of the synonyms.* In comparing synonyms, they are characterized according to various features: broad and narrow meaning, frequent and rare use, literary and dialectal variants, borrowed and own vocabulary, and so on. It is on these factors that the capacity for lexical combination of the synonyms under discussion depend, as well as the degree of constraint. It may be said a priori that from the lexical viewpoint their combinability is not unconstrained, but neither is it unlimited. The combination of *samshoblo* and *mamuli* with other words yields the following picture (in terms of epithets and verbs).

*Modifiers (epithets or other attributes):*

*samshoblo*: my / our, native, loved, beautiful, longed for, Socialist...

*mamuli*: my, own, (be)loved, unhappy, victim, longed for...

Significantly enough, these epithet-attributes give preference to forms of address.

*Verbs and/or verbal nouns (masdar & participles):*

- a) *samshoblo*: birth-upbringing, shooting an arrow, return (to one's homeland), loss, deprivation, claiming, not exchanged for another, self-sacrificing, die (for), give / devote one's life (to)...
- b) *mamuli*: defend, defenders of, (make) sacrifice (to), self-sacrificing, die (for), pray (for), glorify, give / devote one's life (to)...

*Key words:* homeland, synonymy, mono-/polysemy, derivation, syntagmatics.

*References, Historical & Lexicographical Sources:*

**Chavchavadze 1937:** Ilia Chavchavadze, Collected works in 5 volumes, vol. I (Eds. P. Ingoroqva & A. Abasheli), Tbilisi, *Saxelgami*, 1937.

**OGD 1973:** I., Dzveli kartuli enis leksik'oni (Dictionary of Old Georgian), Tbilisi, *Metsniereba*.

**OGD 1995:** Sarjveladze Z., Dzveli kartuli enis leksik'oni (Dictionary of Old Georgian), Tbilisi, *TSU Publishing*.

**Orbeliani 1965-1966:** S.-S. Orbeliani, kartuli leksik'oni (Georgian Dictionary). Collected works in 4 volumes, vol. IV, 1-2 (Ed. Ilia Abuladze). Tbilisi. *Sabch'ota sakartvelo*.

**Pochkhua 1974:** Pochkhua B., kartuli enis leksik'ologja (Lexicology of Georgian Language), Tbilisi, *TSU Publishing*.

**Ullmann 1977:** Stephen Ullmann. Semantics. An Introduction to the Science of Meaning. Oxford. *Basil Blackwell*.

**Vakhushhti 1973:** Batonishvili Vakhushsti, Aghts'era sameposa sakartvelosa ('Description of the Kingdom of Georgia'): Kartlis Tskhovreba, IV (ed. S. Qaukhchishvili), Tbilisi, *Sabch'ota sakartvelo*, 1973.